

ცისკარი.

1 8 6 7

ა პ რ ი ლ ი.

წელიწადი მეტერთმეტე.

წოდება თხზულებათა:

- 1 — ორი ეროვნელი ჰნაური. შექსპირის დრამა. (ნათ. ანგ.) დიშ. ყიფიანისა.
- 2 — საქმიდგან დათხოვნილი. (ლექსი.) ი. კერესელიძისა.
- 3 — ნაამბობი მწარაძისა ახალწლის წინა ღამეს.
- 4 — ნ. ავალიშვილისაგან გამოცემული კალენდარი.
- 5 — საქართველოს ისტორიისათვის მასალები. მ. ბროსესსი.
- 6 — ბუნების მეცნიერებებიდამ. ი. კ.

ტ ფ ი ლ ი ს ს.

კერესელიძის სტამბაში.

ორი ვერონელი აზნაური.

შექსპირის დრამა.

გადმოთარგმნილი ანგლიურად.

დრამ. ყიფიანისაგან.

თ ფ რ ლ ი ს ს.

ვერესელიძის ტიპოგრაფიაში.

წარმოდგენილნი არიან:

მილანის ღუჯი, მამა სილვიასი.

ვალენტინ | ევრონელი ჳნაურმკვლები.
პროტეოს

ანტონიო, მამა პროტეოსისა.

თურიო, მოსულელო რაყიფი ვალენტინისა.

ეგლამურ, სანდო კაცი სილვიასი.

მარდი, მოხუმარი მსახური ვალენტინისა.

ლაუნსი, მსახური პროტეოსისა.

პანთინო, მსახური ანტონიოსი.

მასპინძელი, პატრონი სახლისა, სადაც ჯულია არის
ჩამომხდარი მილანს.

ჯულია, ევრონელი ქალი, სატრფო პროტეოსისა.

სილფა, სატრფო ვალენტინისა.

ლუჩეტა, მუახლე ჯულიასი.

მუახლეები 4, მუზიკანტები 4, თული კაცები 6.—

სცენა არის ხან ევრონას, ხან მილანს, და მანტუას სა-
ზღვარზღედე

6 მაისს 1865.

სტენა 1. სალაყბო ქალაქს ევრონას.

სტენა 1. სალაყბო ქალაქს ევრონას.

სტენა 1. სალაყბო ქალაქს ევრონას.

სტენა 1. სალაყბო ქალაქს ევრონას.

შემოვლენ ვალენტინ და პროტეოს.

ვ ა ლ ე ნ ტ. კარგია ახლა, ჩემო პროტეოს; —
როგორ იქნება, რომ სულ შინ ჯდომა კაცს არ დააჩნდეს!
რომ არ ვიცოდე, რომ შენი სიყრმე საყვარლის ქალის
თვალების ეშხით არის დაბმული,--

დიდათა გთხოვდი წამოსულიყავ, ერთათ გვემზავინა,--

უცხო ქუთსუნების საკვრეველება ერთათ გვემინჯა,--

ოლონდკი შენი ყმაწვილ-კაცობა

აქ უსარგებლოდ და მცონარებით არ გაელილიყო.

მაგრამ--ქალს ეტრფი--და რაღა ითქმის!--ბედნიერ-იყავ!--

ისე მსურს შენთვის ბედნიერება, როგორც რომ ჩემთვის.--

მეც თუ როდისმე გამიჩნდა გრძნობა სიყუარულისა!--

პ რ ო ტ ე ო ს. მაშ ალარ იშლი?--მიხვალ ეგ არის, ჩემო

ვალენტინ?

მშვიდობით, ძმაო! და თუ შემთხვევით ჰნახავდე სადმე

შენს მგზავრობაში იმეათს რასმე, ან საკვირველსა,--

მომიგონებდე და ფიქრით მაინც მიზიარებდე

შენს სიხარულსა;--გასაჭირშიყი,--თუ გაჭირვება

მოგადგა რამე,--ჩემს წმიდა ლოცვას მოენდობოდე;--

გულით მლოცველი ვაქნები შენთვის, ჩემო ვალენტინ!

ვ ა ლ ე ნ ტ. შენი ლოცვანი?--წიგნი იქნება ტრფოზისა, განა?

პ რ ო ტ. ისეთის წიგნით ვილოცავე შენთვის. რომ სხუას
მერჩიენოს.

ვ ა ლ. რაღა თქმა უნდა, წიგნი იქნება--ღრმა რამ მოთხრობა
ტრფიალებზედ, როგორც--ლენდრმა ზღუა გასცურაო,
რომ საყუარელთან მისულ-იყო!

პ რ ო ტ. ეგ მოთხრობაა მართლად რომ დიდის სიყუარულისა,
რადგან ლენდრი წელამდინ ფლულა ტრფიალებაში.

ვ ა ლ. სწორეთ! და შენ ხომ წელს ზევეთაც ხარ,--
თუმცაჲი ზღვაში არსად გიცურავს.

პ რ ო ტ. წელს ზევეთა ვარ? მაშ სულ მაშიშვლებ, ეგ
არის, რაღა?

ვ ა ლ. მაგას არ ვამბობ; არცა რასა გხდი, არცა რას
გაცმევ!

პ რ ო ტ. მაშ რაღას ამბობ?

ვ ა ლ. მე ამას ვამბობ, რომ არშიყობა--სასაცილოა.

ოხერის სანატულოდ დაგინვენ, გიცხვენ;--
სადაც შენ სწუხარ, იქ ამაყობენ;--წამის სიხარულს
ოცს ღამის ტენის ფასად დაგისმენ. ისე დაგტანჯვენ.--
თუ გაიმარჯუტ, ეგვეც ვინ იცის, რა ბედს ეწევი?
და თუ ვერა, ხომ--მსხუტრბლი შეიქენ მწუხარებისა!
ბოლოს რა გახდა? უგუჲურებას ჭკუა ანაცვალე,--
ან თუნდ ასე ესთქვათ, ჭკუა უმოწნე უგუჲურებას.

პ რ ო ტ. მაშ შენის ფიქრით სულელათა მხდი,--ეს არის რაღა?

ვ ა ლ. მე ჩემის ფიქრით ამას ვიშიშვი,--მართლა არ გახდეს!

პ რ ო ტ. ტრფიალებზედ ამბობ მაგასა, ჩემზედ ხომ არა!

ვ ა ლ. ტრფიალებაა შენი ბატონი, შენი მფლობელი,
და ამას გეტყვი,--უგუჲურებას ვინცა ჰყმობია.--

იმხედ, ეჭონებ, აღარ ითქმოდეს, ბრძენი არისო.

პ რ ო ტ. მწიგნობრებიჲი ასე იტყვიან: როგორც ყუთავილში
ჭია ჰბუღობსო, უბრწყინვალესსა გონიერებას
ტრფობის სურვილიც ისე იპყრობსო.

ვ ა ლ. ასეც იტყვიან: როგორც რომ ჭია კოკორს არ აცლის,
რომ გაიშალოს და აჰყვავდესო,—ისე ტრფობაცა
ახალს, ნორჩს ჭკუას ჰღრღნის და ახმობსო; გაზაფხულზედვე
წამხლარი ჰსკვნება, ჰხმება, ჰყეითლდება და ჰკარგავს ყოველს
სიყრმის იმედსა, რომ კაცად გახდეს გამოსადგათ;—
რომ განამართლოს, რასაც მოყვასნი მისგან ელიან.
მაგრამ—მეც ერთი აქ კაცმა მკითხოს, შენთან ბაასით
ღროს რათა ეჰკარგავ, მონა რომა ხარ ტკბილის ტრფობისა?
მშვიდობით კიდეც! ნავთ-საყუდელზედ მამა მიმელის,
რომ გემში ჩამსვას და გამისტუმროს.

პ რ ო ტ. მეც გამოგყვები, გამოგაცილებ, ჩემო ვალენტინ!

ვ ა ლ. არა, ნუ! ჩემო კარგო პროტეოს! აქ გეთხოვები!
შენის წიგნების მოლოდინება მილანს შექნება.—

შენს ტრფიალებას რაც დაჰყვებოდეს, ან რაც საჩინო

რამ მოჰხდებოდეს ამ ვერონაში, მატყობინებდე,—

მანამდის შენი ვალენტინ გარეთ გეგულებოდე!

ჩემის მხრით მეცკი ჩემს ამბავს წმირათ გაცნობებ ხოლმე.

პ რ ო ტ. ბედნიერ იყავ ყოველითურთ მილანს, ჩემო ვა-

ლენტინ.

ვ ა ლ. აქ შენც აგრეთვე, ჩემო პროტეოს,—და გამარჯვებით!

(ვალენტინ გავა.)

პ რ ო ტ. ეს სახელს მისდევს,—მე სიყუარულსა;—

ესა ჰსცილდება თავისს მეგობრებს, მე ვაჯობოო,—

და მე ვხსცილდები სხუბსაც, ჩემს თავსაც, საყურლისათვს.
შენი ბრალია, მშენო ჯულიაე, რომ შეტულილი ვარ;
სწავლას არ დავსდევ, დროს ვჰკარგაე, რჩევას არვისას ვისმენ
და ქუტყანასაც არაფრათა ვრაცხ; გონებას ვლაღ
უსაქმობითა; სულ შენს ფიქრში ვარ და გულს ვიმტყენებ.
(მემოდის მარდი.)

მ ა რ დ ი. ბატონო პროტეოს! თუ მოგეხსენებათ, ჩემი ბა-
ტონი ხომ არ გინახავთ?

პ რ ო ტ. ეს არის ეხლა წავიდა აქედამ, რომ გემში
ჩაჯდეს და მილანისაკენ გასწიოს.

მ ა რ დ ი. ვისაც უნდა დავენაძლევები, თუნდ ერთხელ ოცი
იყოს, რომ ის ახლა გემში ჰხის და მეკი რიყებე დავრჩი
მოსხლეტილი ცხვარივითა!

პ რ ო ტ. მართლა რომ ცხუარი ადვლად მოსხლტება ხო-
ლმე, რა რომ მეცხუარე მოსცილდება.

მ ა რ დ ი. ბარემ ასე ბძანე, ჩემი ბატონი მეცხუარე იყოს
და მე ცხუარი რალა?

პ რ ო ტ. მაინც აგრე ვამბობ.

მ ა რ დ ი. მამ მძინავს თუ მღვძამს, ჩემი რქები იმისი რქებია?

პ რ ო ტ. თოხლური პასუხი თუ გინდა, სწორეთ ეგ არის.

მ ა რ დ ი. მაგითი კიდევ ამასა ბძანებ, რომ ცხვარი ვიყო.

პ რ ო ტ. სწორეთ. და შენი ბატონი არის შენი მეცხუარე.

მ ა რ დ ი. დიახ არა; მე შემძლია დაგიმტყიციოთ, რომ არა.

პ რ ო ტ. ვერა მგონია; მეცკი დაგიმტყიცებ, რომ შენ ეგ
მე ვერ დამიმტყიციო.

მ ა რ დ ი. მეცხუარე ეძებს ხოლმე ცხუარსა; ცხუარი ხომ
არ ეძებს მეცხუარესა; და მე, -- მე ეძებს ჩემს ბატონსა, ის

ხომ მე არ მეძებს; მამ ეტყობა ცხუარი არა ვპყოფილვარ.

პ რ ო ტ. საძოვრისათუნ ცხუარი მისდევს მეცხუარესა,—
მეცხუარე ხომ ცხუარს არ მისდევს. შენ--შენიჯამაგირისტუნ
მისდევ შენ ბატონსა,--ის ხომ არ მოგდევს, ჯამაგირი გა-
შომართვიო. მამ ცეტყობა ცხუარი ყოფილხარ.

მ ა რ დ ი. ერთი მაგისთანა პასუხი კიდევა და უნდა და-
ვიბლაღვო კიდევა, რაღა?

პ რ ო ტ. აგრე ქენი;--მაგრამ--შენ ჩემი წიგნისას რატომ
არას მეტყვი; მართვი ჯულიასა თუ არა?

მ ა რ დ ი. დიახ, ბატონო!დაკარგულმა ცხუარმა წიგნი მი-
ვართვი დაჭერილ ბატონსა და იმ დაჭერილმა ბატონმა და-
კარგულ ცხუარს გასამრჯელოკი არა მიბოძარა.

პ რ ო ტ. იმის საძოვარზედ მაგდენი ცხუარი სად დაეტევა.

მ ა რ დ ი. საცა ვიწროობაა იქ,ცოტა მიწვე-მოწვევა უნდა.

პ რ ო ტ. აუი გითხარი, გავარდნილი თოხლი ხარ მეტუი
და სწორეთ ამანათივით შენახვა გინდა შენა.

მ ა რ დ ი. ღმერთს ენდე, უკეთესი იქნებოდა, რო გებძანე-
ბინა: ა! მანათი! ვითამ შენ გასამჯელოთაო.

პ რ ო ტ. შემცდარი ხარ, მე გეუბნები, შენახვა გინდა
ამანათივითა მეტუი.

მ ა რ დ ი. შენახვა მაგ მანათივითა? მე მაგასა ვჩივი, რომ
შენახულია თქუპნი მანათები და რაც წიგნის მისატანი მე-
რგებოდა, იმისი მესამელიც აღარა გამოდისრა.

პ რ ო ტ. მინც რაო, რა გიპასუხა?(მარდი თავს იქნევს),
თავი დაგიქნია?

მ ა რ დ ი. დიახ!

პ რ ო ტ. დიალ! ნეტავი რას მიედ-მოედები?

მ ა რ დ ი. მე მოგახსენებთ, თავი დამიქნია მეთქი;—თავი
კი დამიქნიაო? კიდევა მკითხამთ და მოგახსენებთ, დამიქნია
მეთქი.

პ რ ო ტ. მანდ სულ არა გამოდისრა; თუ არ შენი სისულ-
ლეღე!

მ ა რ დ ი. ესთქვათ აქედამ ჩემი სისულლეღე გამოდის; —
ახლა თქუპნი ქისილამაც გამოდის რამე, თუ არა?

პ რ ო ტ. არა! ჩემი ქისილამ არა გამოდისრა, თუ არ წიგ-
ნის მისატანი.

მ ა რ დ ი. რა გაეწყობა! ყველა უნდა მივიღოთქუპნიგანა!

პ რ ო ტ. რაო? რა უნდა მიიღო ჩემგანა?

მ ა რ დ ი. ეგ წიგნის სამაგიერო ბატონო, შესაფერი სამა-
გიერო.

პ რ ო ტ. შენ როგორღაც ჭკუას ძალას ატან; მგონია.

მ ა რ დ ი. თქუპნი ქისას მაინც ვერ მოგახსენებინე პირი, არა
მეშველარა.

პ რ ო ტ. კარგია ბევრს ნუ მიჰქარავე! ჯერ ეგ შენი პირი
მოხსენ და შემატყობინე, რა გითხრა?

მ ა რ დ ი. ბარემ თქუპნი ქისაც მოხსენით, რომ აქედამ პა-
სუხი და მანდედამ პასუხის სამაგიერო ერთათ გადვიდ-გად-
მოვიდნენ.

პ რ ო ტ. აჰა, ესეც შენი სამაგიერო! ახლა, რა გითხრა?

მ ა რ დ ი. სწორე მოგახსენოთ, ბატონო, მგონო ადვილათ
იშოვნოთ ისა.

პ რ ო ტ. ნეტა რა ვქნა! რატომ აგრე გიცენია; მერე?

მ ა რ დ ი. არა ბატონო! მე ის სულაც არ მიცენია; ისე
არ მიცენია, როგორც ერთი ოქროც არ მიცენია იმისი,

თქუნი წიგნის მისატანი. და თქუნი ამბის მიმტანთან თუ აგრე კელ-მოჭირებულია, თითონ თქუნი თანაც რომ აგრე იყოს, მერე?—თქუნი იმასთან ქვს მეტი არა დაგჭირდებოდა, თითონ რომ ფოლადივით მაგრა არი!

პ რ ო ტ. მინც რაო! სულ არა გიჟხრა რა?

მ ა რ დ ი. ესეც არ მითხრა,—აჰა, ეს შენი გასამრჯელოო. თქუნი რომ მიბოძეთ ახლა, მე იმის მადლობის მოსახსენებლათ ამას გირჩევთ, რომ დღეის იქით თქუნი წიგნი თქუნივე მიუტანოთ ხოლმე. ახლაკი მშვდობით, ბატონო, და თუ მიბძანებთ, ჩემ ბატონს თქუნი მაგიერად მოკითხვას მოვახსენებ.

პ რ ო ტ. გასწი, გასწიე, მარდათ ირბინე; ეგება გუჰმას გადაარჩინო თქუნი ხომალდი! შენ თუ ზედა ხარ, ფიქრი არ არის; თოკით დასარჩობს ზღუა ვერ დახრჩობს. შენ მაგიერი სხუა უფრო სანდო თუ არ ვიშოვე, ჯულია პასუხს მე არც ერთ სტრიქონს აღარ მაღირსებს, რაც უნდა ვსწერო. (გაველენ.)

სცენა 2. ვერონაშივე. ჯულიას სახლის ბაღი.

შემოვლენ ჯულია და ლუჩეტა.

ჯ უ ლ ი ა. მითხარ, ლუჩეტა! მარტო ვართ ახლა! მაშ სწორეთ მიჩვე, რომ ტრფიალებას გყლი მივანდო?

ლ უ ჩ. ოღონდაც, მადამ! მაგრამ რიგიოკი, მგრძობე-
ლობითა.

ჯ უ ლ. ყმაწვლ-კაცების ბრწყინვალე დასში, მე რომ მე-
ტრფიან,—

მუდმად ყოველ-დღე პატრისცემას რომ მიცხადებენ,

ვინა გგონია, უფრო ღირს იყოს, რომ მე შევიტოვო?

ლ უ ჩ. დამისახელებთ ერთი კიდევია, რომ მოვიგონო,—
და სწორეს გეტყვი, ვისას რას ვჭევიკობ.

ჯ უ ლ. მშტპნიერს ყმაწვილს ვგლამურზედა,—აბა რას იტყვ?

ლ უ ჩ. ტანადი, სუფთა, ტბილ-მოუბარი; მაგრამ მე
თქტტსნი

რომ ვიყო, იმას საყურად სულაც არ ავირჩევდი.

ჯ უ ლ. მამ იმ შეძლებულს მერყუციოზედ რაღასა ჰტვიკ-
რობ?

ლ უ ჩ. იმის შეძლება--დიად კეთილი; მაგრამ თითონი...

ჯ უ ლ. იმ კეთილშობილს პროტეოსზედა, ვნახოთ რას
იტყვი?

ლ უ ჩ. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა სულელი ვარ, ვინ
გამიკითხავს?

ჯ უ ლ. რა იყო, მერე? იმის ხსენება გულში რათ მოგხტდა?

ლ უ ჩ. გთხოვთ მომიტყევოთ, თქტტსნი კირიმე; დამნამა-
ვე ვარ;

მე უგუნური, ასე ვახსენებ ამისთანა ღირსს

ყმაწულ კაცებსა; ჩემგან განკითხვა არ ევადრებათ.

ჯ უ ლ. თუ სხვებზედა ჰსტკვ, პროტეოსზედეკი რატომ
ალარა?

ლ უ ჩ. მამ მოგახსენებთ: უკეთესებში ის უფრო მომწონს,

ჯ უ ლ. მაგის მიზეზი? რა მიზეზი გაქტს?

ლ უ ჩ. სხტა რა მიზეზი, თუ არ ქალური:

იმიტომ მომწონს, რომ... მომწონს, რა ვტქნა?

ჯ უ ლ. გეტყობა მირჩევე, რომ ის შევიტოვო!

ლ უ ჩ. დიად, თუ რომ სხტა არაეინ არის უფრო სატრფობი!

ჯ უ ლ. ეგ კარგი, მაგრამ, თუ მომწონს ვინმე, ის უფრო ნაკლებ.

ლ უ ჩ. იმასეი სხუბზხედ უფრო უყვარხართ.

ჯ უ ლ. სულ ჩუმათ არის, და ამითი ჰსჩანს, რომ გულგრილია!

ლ უ ჩ. დაფლული ცეცხლი უფრო დიდხანს სძლებს ანთებულზედა.

ჯ უ ლ. ვინც ვერ წარმოსთქვამს, იმის გრძნობისა არა ვიცირა.

ლ უ ჩ. ვინც რომ ბევრს ამბობს, იმისი გრძნობა მე სულ არა მწამს.

ჯ უ ლ. ნეტავი ერთი იმისი გრძნობა შემატყობინა.

ლ უ ჩ. ამ წერილიდამ აშოიკითხეთ.

ჯ უ ლ. ეგ ვისი არის?

ლ უ ჩ. თითონ ეს წიგნი შეგატყობინებთ.

ჯ უ ლ. მითხარი მეთქი, ვინ მოგცა ეგა?

ლ უ ჩ. ვალენტინისმა... მსახურმა... მგანი...პროტეოსისა...
თქუბნთან მოჰქონდა, მაგრამ მე შეეჭხუდი და გამოეართვი.
თუ დაეშავე, გთხოვთ მომიტყევოთ.

ჯ უ ლ. ეგ შენ ძალიან კარგი კელობა დაგიჭერი! მაგ საარშიყო წიგნების ზიდვას როგორ მიბედავ?

შენ მოლალატედ შემოსდგომიხარ ჩემს სიმშვიდესა?
ახლავ წაიდე და დაუბრუნე, ვინც გამოგზავნა,—
თუ არა თვალით არ დამენახო!

ლ უ ჩ. ტრფილის ქომავს უფრო კეთილი ჰასუხი ჰუტუნის.

ჯ უ ლ. გახვალ თუ არა?

ლ უ ჩ. გახვალბით, რომ, იქნება უფრო კარგა იფიქროთ. (გაეა)

ჯ უ ლ. კარგსკი ვიქმოდი, თვალი ჩამეგლო იმ წიგნისათვის.
ისევე მოვიხმო? სირცხვილს რა უყო, მევე რომ ვჭკითხო,
რისთვისაც აგრე მძიმეთ დავტუქსე საბრალო გოგო?
რა სულელია! ხომ იცის, რომ ვარ ყმაწვილი ქალი?
ვერ მოახერხა, რომ წიგნი ჩემთვის ძალათ მოეცა?
ყმაწვლი ქალი მორცხვობით იტყვს, „არა, არაო“
სადაც რომ გული ეჩურჩულება, ჰსთქვ „დილაო“.
ეჰ! სიყუარულო! რა კაპასი ხარ და უგუნური!—
ჩჩვლი ძუძუსა რომ კიდეცა ჰსწოვს და კიდეც ჰყაწრავს,
ტრფიალებში ყმაწვლი ქალიც სწორეთ ისეა.
რა განრისხებით ვავაგდე გარეთ ჩემი ლუჩეტა.—
როდესაც მსურდა, რომ ისევე ჩემთან აქ ყოფილიყო.—
რა გულის წყრომით დავუპრიალე საწყალს თვალები,—
როდესაც გული მიტრიალებდა სინარულითა!
ჩემი სასჯელი ეს თუ იქნება, რომ დავუძახო
და ტუბილათ დავჰხუდე, რომ სხუა ბოდნიმი აღარ დამჭირდეს.
ქალო ლუჩეტა! ლუჩეტა!

ლ უ ჩ. ბძანეთ! აგერ გახლავარ!

ჯ უ ლ. სადილის დროა, თუ არა ჯერა?

ლ უ ჩ. ნეტავი იყოს თქუპნის სიცოცხლით:

ჯაერს საჭმელებზედ ამოიყრიდით,

და მე ამითი გადაგრჩებოდით.

ჯ უ ლ. რა იყო ეგა, რას დასწუდი მანდა?

ლ უ ჩ. ოჰ! არაფერსა.

ჯ უ ლ. რა იყო მეთქი, რომ დასწუდი მანდა?

ლ უ ჩ. ქალადი გახლდათ და ის ავიდე.

ჯ უ ლ. მერე ქალადი არაფერია?

ლ უ ჩ. ჩემთვის ოლონდაც, არაფერია!

ჯ უ ჩ. მამ გდებულიყო, რალა გინდოდა.

ლ უ ჩ. რომ გდებულ-იყო, ვაჟ თუ ცუდათ ეთარგმნა
ვისმე,

და მართალიც ხომ გამტყუნდებოდა!

ჯ უ ლ. მაშ უსათუოთ შენა გწერს ვინმე ტუბილ შაირებსა!

ლ უ ჩ. თუ აგრე არის, მაშ შეიძლება, რომ დავამღერო
და ხმა მასწავლეთ.

ჯ უ ლ. მაგეებისა არა ვიცირა.

თუნდ ამ ხმზედ ჰსთქვ: „სიყუარულის მნათობო!“...

ლ უ ჩ. ამ შაირისთვის ეგ ხმა არ ვარგა, — მდაბალი არის.

ჯ უ ლ. როგორ მდაბალი? მამ ეგ მაღალი ყოფილა რამე?

ლ უ ჩ. მაღალი, მაგრამ ხმა დიად ტუბილი, თქუტს თუ
დაჰმღერებთ.

ჯ უ ლ. რატომ შენ არა?

ლ უ ჩ. მე ამისს კილოს სულ ვერ მივაგნებ.

ჯ უ ლ. მაჩუტნე ერთი!... მაჩუტნე მეტეი!...

ლ უ ჩ. მიირთვთ, მაგრამ კილოს ნუ შეჰსცვლით. მეიო
ჩემ თავათ

მაგისი კილო არაფრად მომწონს.

ჯ უ ლ. რატომა მერე?

ლ უ ჩ. მეტად ძნელია, აწევა უნდა!

ჯ უ ლ. შენ მანდ, მგონია, ჰბოდავ რალასაც.

ლ უ ჩ. აკი ვიცოდი, კილოს შეცუთლიდით. ბანი და კილო
სულ აირია. ცხადათა ეჰხედავ რომ კილოს მთქმელი
გვაკლია აქა.

ჯ უ ლ. შენვე გვაყრუებ ბოხის ბანითა.

ლ უ ჩ. მე პროტეოსის ბანს ვამბობ აქა.

ჯ უ ლ ი. კიდევ? კმარა! მეტათ მომწყინდა (წიგნსა ჭეხრეწს)
შენი ბრიყული მიღებ-მოღება! გაეთრი გარეთ!
გაეთრი მეთქი! მაგ ნაფხრეწებთან რალა საქმე გაქტს?
რომ გამაჯავრო, ის გინდა ჭანა?

ლ უ ჩ. (ცალკე) ძალიან წყრება; მაგრამ გულით კი უნდა
კიდევა,

ახალის წიგნით რომ ეაწყენინო, (გაეა)

ჯ უ ლ. ნეტავი, მართლა, ერთი ამ გუჶარად კიდევ შემბედოს!
საზიზლო კელო! რიგორ დაგლიჯე ტრფობის სიტყუტბში
კრულო ტრაზანავ, თაფლსაც რომ სწოწნი და ყუაიელსაც
ჰკლავ

გესლიანისა შენის ნისკარტით. მე ამით დაგსჯი,
რომ ამ ნაგლეჯებს აგაკრეფინებ და გადაეჰყოცნი.--

აქა სწერია: გ უ ლ ნ ა ზ ო ჯ უ ლ ი?--კაპასო ჯუღლი!

შენი უგვანი უმადურების სამაგიეროდ

ქტბზუდ მივაგდებ ამ შენს საკელსა

და ფეხით გავსრეს შენს სიამაყეს!--

აქა სწერია: გ უ ლ--დ ა ქ ო დ ი ლ ი პ რ ო ტ ე ო ს ი ო!

ტბილო საკელო დაღონებულო! აქ განისტბნე,

ამ გულზედ, მანამ სულ მორჩებოდე; და ნება მომეც,

რომ ამბორს გიყო; მაგრამ ორჯელა! ორჯელ სწერია

ხომესსაკელი! ქარო არ გაჩნდე, კეთილო ქარო!

და ეს ფურტლებიარ მოიტაცო, მანამ აეჰკრეფდე

ყველას, ყველასა, ჩემს საკელს გარდა;--და ეს საკელი

თუნდ ქარიშხალმა კლდეზედ შეაგდოს, შავზედ, საზარზედ

და იქიდიმაც გადასცეს ზღუასა აღელვებულსა.--

აქ ერთს სტრიქონში იმის საკელი ორჯელ სწერია:
პროტეოს წყლული, პროტეოსგულით, გრძნობით
ტრფიალი,

სათაყუბანებელს ჩემს ჯულიასა! ამას კი მოეჭხევე;
მარამ რგსთვსა? ორივე სახელი კარგათ არიან

შეტოლებულნი! მამ ისე დავჰყვე, რომ ერთათ იყვნენ,
ჰკოცნეთ, ეხვეთ, ისიამოვნეთ, რაცა გნებადეთ.

ლ უ ჩ: მადამ! საღილი მზათ განლაფთ ახლა და მამა
გელისთ.

ჯ უ ლ. კარგი, წავიდეთ!

ლ უ ჩ. ესენი დარჩეს? ავჰყრეფ, რომ არა წამორომონ რა.

ჯ უ ლ. გასაფრთხილებლად თუ მიგაჩნია, დიად აურიფე!

ლ უ ჩ. ისიც გადამხდა, ხელიდამ წიგნი რომ ძირს გამეარდა.

თუ აქ გაუშუ, ხომ უარესი, გაცივდებიან.

ჯ უ ლ. მე ვჰხედავ, დიდათ აფასებ შენთვის მაგნაფლეთებსა.

ლ უ ჩ. დიად, ვჰხედამო, კარგათა ბრძანებთ; მაგრამ მეც
ვჰხედავ

ზოგიერთ საქმეს, თუმცა გგონიათ, რომ სულ ბრმა ვიყო.

ჯ უ ლ. წავიდეთ, კარგი! მოხვალ თუ არა? (გაეღვენ.)

სცენა მ. იმავე ქალაქში. ოთახი ანტონიოს სახლში.

შემოვლენ ანტონიო და პანთინო.

ანტ. პანთინო! ჩემი ძმა რომ რაღასაც გეუბნებოდა,
მითხარ, რა იყო? რა საქმეებზედ ლაპარაკობდით.

პანთ. თავისს ძმის წულზედ ლაპარაკობდა, თქუტუნს პრო-
ტეოსზედ.

ანტ. მაინც, რაზედა?

პ ა ნ თ. უკვრდა. რომ თქუტუნ შუკლს ნებას აძლევთ შინ-
ყოფნისასა,
როდესაც ბევრით თქუტუნზე მდაბალნი სხუაგან გზანიათ
თავის შუკლებსა, რომ დაკელოვნდნენ და განვითარდნენ:
ზოგნი საომრად, რომ ისაკელონ თავისი თავი; —
ზოგნი რომ ზღუტში ახალს კუნძულებს აღმოაჩენდნენ;
ზოგნი—სწავლისთვის, უნივერსიტეტს, სამეცნიეროდ.
ამას ბძანებს რომ თქუტუნ შუკლს ყოველგან
შეუძლიაო გამოჩენაო, და მე მიბძანა
თქუტუნ მოგახსენოთ, შინ რათ იჭერთო; ნება მიეცით
სხუაგან წასელისა; თორემ როდესაც მოხუცდებოა,
ბევრს იწუხებსო ყმაწვილობაში შინ ჯდომასაო.

ა ნ ტ ო ნ. ბევრი თათბირი არ უნდააქა; — თუტ მეტი არის,
რომ მეცა ვჭფიქრობ და ვარჩევ მაგას. კარგათა ვჭხედავ,
რომ ჰკარგავს დროსა და არ ივარგებს, თუ სხუა ქუტსუნებში
მიხედ-მოხედვას არ შეუდგება. გამოცდილება
დიდი რამ არის; და თუ არ საქმით, ხომ არ იქნება;
დროც თუ არ შესწევს, არც ეს ივარგებს. ახლა მითხარი
საით გგონია სამჯობი იყოს, რომ გაეისტუმროთ?

პ ა ნ თ. ვჭგონებ, ბატონო! მოგეხსენებათ, რომ თან
შეზრდილი
და მეგობარი თქუტუნის შუკლისა, ის.. ვალენტინი,
იმპერატორთან არის ამ ჟამად!

ა ნ ტ. როგორ არ ვიცი!

პ ა ნ თ. თქუტუნის სხუა მაქუს, თუ არა სჯობდეს, რომ
პროტეოსიც
იქით გაჭზაენოთ; ცხენოსნობასა და ჯრითობას

კარგათ ისწავლის ხალხში ყოფნასა, კარგს საუბარსა,
სუ ყველაფერსა, რაც რომ შეჰჰმუნის იმის ასკა
და გუარ-შულობას.

ან ტ. ეგ აზრი მომწონს; რიგიანია! მე დაგიმტკიცებ,
რომ მიჯერია, და რასაც ვიტყვი შევასრულებთა.
როგორც შემთხუტვა გაჩნდება რამე, მაშინვე ვგზავნი
იმპერატორთან.

პ ა ნ თ. თუ რომ ინებებთ, დონ აღჭონსო და ორი
თუ სამი
სხუა საპატიო მოქალაქენი ხუალ მივლენ მილანს.

ან ტ. სხუა რალა გვინდა. მაშ პროტოოსიც იმასთან წაეა.
აგერ, ისიცა! შენ გაგვეცალე. (შემოვა პროტოოს.)

(წიფნი უჭირავს კელში. მამას ვერ ჰხედავს)

პ რ ო ტ. ტუბილო სატრფოო! ტუბილო წერილო! ტუბი-
ლო სიცოცხლე!

აჰ, იმის კელი და მოციქული იმის გულისა!

თავის სიყუარულს ამით მარწმუნებს და მეფიცება.

ჩუტნის სიყუარულზედ ჩუტნი მშობლებიც რომ დაგვეთანზმნენ
და ნება მოგვეცენ ჯუარის წერისა!! ოჰ, ნეტარება!

ოჰ, ზეციერად მნათო ჯულიავ!

ან ტ. რა არის ეგა. რასა კითხულობ?

პ რ ო ტ. (შეგრთომით.) ეს გახლავს ორი თუ სამი სი-
ტუჰა ვალენტინისა;

მგზავრი უნახავს აჟ მომავალი და იწერება

კარგათა ვარო.

ან ტ. მაჩუტნე ერთი, აბა რასა გწერს ახალს ამბავსა?

პ რ ო ტ. მაგდენს არაფერს, ბატონო მამა! ამასა მწერს, რომა

კარგათა ვარო, ემხიარულობო, იმპერატორი
დიდათ მწყალობსო;--ჰსურს ღეც იქ ვიყო, რომ თავის ბედი
ვამიზიაროს.

ან ტ. მაგ სურვილისას შენ რაღას იტყვი?

პოო ტ. რასაც თქუტუნ ზძანებთ, იმას ვადგევარ, ბა-
ტონო მამა!

მეგობრის სურვილს თქუტუნს ზრძანებასთან რა ხმა ეწნება?

ან ტ. რაც იმასა ჰსურს, ჩემი სურვილიც სწორეთ ვბ-
არის.

ნუ გიკვრს, შვლო! ეს მოწყუტტილი ჩემი პასუხი.

რასაცვი ვიტყვი, ხომ კარგათ იცი, შევასრულებცა.

მე ეს ვარჩიე, რომ შენც იქ დაჰყო რამდენსამე ხანს

ვალენტინესთან იმპერატორის სასახლეშია:

სახარჯავთ ფულის იმდენს ვაგიჩენ, რასაც ვალენტინს

მამა უგზავნის, მამ ხუალ მზათ იყავ რომ გზას დაადდე;--

აქ ლაპარაკი არა უნდარა; ვჰსთქვ და გათავდა.

პოო ტ. ბატონო მამა! აგრე საჩქაროთ როგორ იქნება!
ერთი-ორი დღე მაინც მაცალეთ, რომ მოვეშადო.

ან ტ. აბა რიღასთვს! თუ დაგაკლდა რამ, იქ მოგამ-
ველებთ.

მამასადამე დაგვიანება რის მაქნისია!

ხუალვე სჯობს წასვლა. აქმო, პანთინო! მე შენ მოგანდობ,
რომ ყოვლის ფრითა კელი შეეუწყო და მოამზადო.

(ანტონიო და პანთინო გავლენ.)

პოო ტ. ერთს ჭირს ვავექეც, ახლა მეორეს უარესს
შევჰხუდი.

ცეცხლს მოვერიდე, არ დამწყუას მეთქი; და მაგიერად

წყალში ჩავარდი და ვიღუპები! ვერიდებოდი,
რომ აქ მამა ჩემს ჯუღლიას წიგნი არ წაეციოთხა,—
ჩემს სიყვარულზედ არ გამწყრალიყო და ამის ნაცულოდ
თვთან მე უთხარ, რისაც უარესს ის ვერ მეტყოდა --
ოჰ! როგორა ჰგავს ეს ტრუთალება აპრილის დღესა!
ერთს წამს უყურებ, მზე ჰბრწყინავს, გვათბობს; გამოიხედავ,-
ისევე დაჰძრუებლა და დააბნელა ცა და ქუტყუანა.

(შემოვა პანთინო.)

პ ა ნ თ. ბატონო პროტე! მამა გიბძანებთ, ეხლავ მოდიო; ნუ იგვიანებთ, რომ არ გაჯაგრდეს.

პ რ ო ტ. რას ჰნიშნავს ესა? დამორჩილდიო, გული მომძახის; არა, არაო,- ამასაც მითქამს?...უნდა წავიდე! (ვაევა).

ა კ ტ ი 2

სცენა 1. მილანი. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ ვალენტინ და მარდი.

მ ა რ დ ი. ბატონო! აგერ, თქუტუნი თათმანი!

ვ ა ლ. ჩემი თათმანი კელზედ მაცვა.

მ ა რ დ ი. ცალია და მაშ ეისი იქნება?

ვ ა ლ. რაო? მ:ჩუტუნი! ჩემია, ჩემი! მომეცი აქა!

ოჰ, სამეაულო, რომელი ეცმი ღთიურსა კელსა!

ო! სიღვია, სიღვია!!

მ ა რ დ. მადამ სიღვია! მადამ სიღვია!

ვ ა ლ. რა გაღრიალებს, რა მოგეჩუტუნა?

მ ა რ დ. არ ესმის, ბატონო და მამაჰ?

ვალ. მერე ვინ გითხრა, დაუძახეო?

მარდ. თქვენ არ უძახდით? იქნება ისე მომესმა!

ვალ. კიდეც არ იშლი შენს სისწრაფეს?

მარდ. გუშინ არ იყო, მიჯავრდებოდით, ზარმაცი ხარო!

ვალ. კარგი! მითხარი! მერე-სილვია იცი ვინ არის?

მარდ. თქვენ რო გიყუარო, ბატონო, ის არ არი?

ვალ. მერე რა იცი, რომ მიყუარს ვინმე?

მარდ. აჰ, მოგახსენებ, როგორ შევიტყუე: ჯერ ერთი
ესა, რომა, პროტეოსივით კელების მტურევა გისწავლიათ,
თითქო სუყველაფერზე გაჯავრებული იყოთო; — მერე ყვთე-
ლი ჩიტვით დასტყუნათ, თითქო არ შეიყობას იმდერდეთო. —
ხალსს ვრიდებით, თითქო სნება სჭირდეს ვისმეო, — ახლა ისე
ოხრავთ და ხენწით, როგორც შავირდი, ანაბანა რომ და-
უკარგავს; — ყმაწული ქალივით იცინგლებით, თითქო ბებია
მოგკულომოდეთ; — არასა სჯამთ, თითქო ავანტყოფი იყოთ
და ფარეზობდეთ; — არიძინებთ, თითქო ქურდისა გემინო-
დეთ; — მერე ღღეობის მთხოვარივით ჩაცვიება დაგჩემბიათ. —
უწინ რომ იცინოდით ხოლმე, მამლის ყივილსა ჰგავდა
თქვენნი კასკასი; — უწინ რო დადიოდით ხოლმე-ლომს მი-
გიგაკდათ სიარული; — თუ მარხულობდით როდისმე, ისეც
სადილთ უკან თუ; თუ დაგაღონებდათ რამე, ისეც უფულ-
ობა თუ; ახლა კი თქვენ საყუარელ ქალს ისე გამოუტყე-
ლიხართ რომა, მე რო გიყუარებთ, ძლივლა გცნობთ ჩემ
ბატონათა.

ვალ. რაც მანდ მოთვალე, ყველა ეგ ჩემში არის ვითამა?

მარდ. სულ ზედ გაჩნიათ.

ვალ. როგორ თუ ზედა?

მ ა რ დ. ზედა მეტეი? ღიად, სწორეთ. სხუა ვინ იქნება ისეთი, რომ ამდენ ნაირი სისულელე გარედამაც აჩნდეს. თქუ-
შაში კი ისეა გამჯღარი, რომ როგორც სტაქანიდამ...სულ
ისე გამოჩანს; — ვინც კი შემოგხედავთ, აქიმიც რომ არ ი-
ყოს, მაინც მაშინვე შეგატყობთ, რაცა გჭირთ.--

ვ ა ლ ე ნ ტ. ერთი მითხარა, შენ სინიორა სილეიას იცნობ?

მ ა რ დ ი. აიმასა, რაცა ვახშმათა ხართ თვალს რომ
არ აცილებთ ხოლმე?

ვ ა ლ. ჰო, იმას! ვეცე შეგამჩნევია?

მ ა რ დ ი. ვერა, ბატონო, ვერ ვიცნობ.

ვ ა ლ. ნეტა რას მიჰქარამ; თვალს რომ არ ვაცილებ ეს
შეგამჩნევია და ვისაც არ ვაცილებ, იმას კი ვერ იცნობ?

მ ა რ დ ი. მეტათ რაღაც რამ უყამურა რომ არას, ის
ხომ არ არის?

ვ ა ლ. როგორ თუ უყამური! ისე მშტჷსნიერი ვერ არის,
როგორც სანდომიანია. —

მ ა რ დ ი. ეგ ხომ მეც ვიცოდი.

ვ ა ლ. რა იცოდი?

მ ა რ დ. რომ ისე ლამაზი ვერ არის, როგორც სანდო-
მიანია, თქუშნის ჭკუით.

ვ ა ლ. მე ვამბობ, რომ იმისი მშტჷსნიერება გასაოცარია,
და გულის სიკეთე იმისი--დაუფასებელი.

მ ა რ დ. ეგ იმიტომა, რომ ერთი არის ნახატი და მეორე უფასო.

ვ ა ლ. როგორ ნახატი? როგორ უფასო?

მ ა რ. ისე ნახატი, და ისე უფასო რომ იმის სილამა-
ზეს სულაც არაფრად ჩაგდებენ.

ვ ა ლ. მაშ შენ მე როგორ მიცნობ, იმის მშტჷსნიერე-

ბას რომ ვეტრფი.

მ ა რ დ. რა რომ წახდა, მას აქეთ ხომ ჯერ არ გინახათ.

ვ ა ლ. როდის წახდა, მერე?

მ ა რ დ. არშიყობა რო დაუწყეთ, მასუკან.

ვ ა ლ. რაც ერთხელა ვნახე, სულ ისარის, ყოველად მშუტსნიერი.

მ ა რ დ ი. დანიხეთ თუ არა, მამინვე თუ გაუარშიყდით, როგორღა გმინჯავდით.

ვ ა ლ. ნეტა რა ექნა?

მ ა რ დ. ხომ მოგეხსენებათ, სიყუარული ბრმა არისო, ჩემი თვალები მაინც გქონიყოთ, ან ისევ ის თვალები, ნათლათ რომ იხედებოდით, როდესაც პროტეოსს აყუბდრებდით, უწვესაკრაოდ რათ დადიხარო! (*)

ვ ა ლ. რომ გამემინჯა, რა უნდა შემეტყო?

მ ა რ დ. თქუტსნი ახლანდელი გონების ნაკლებობა და იმ ქალის სიგონჯე. პროტეოსი ქალის სიყუარულით ვეღარა ჰხედავდა, რომ უწვესაკრაოდ გამოდიოდა და ახლა ვეღარც თქუტსნა ჰხედავთ ამასა.

ვ ა ლ. ბიჭო, მაშ ამ ანგარიშით შენც უნდა გიყუარდეს ვინმე; ამიტომ რომ დღეს დილას ვეღარა ჰხედავდი, რომ ჩექმებს გაუწმენდელს მაცმევი.

მ ა რ დ ი. ვგ მართალია, ბატონო! ჩემ ქუტსსაგებს ვეტრფოდი მამინა. მადლობას მოგახსენებთ, რომ დამტუქსეთ და ჩემს საყუარელს მომაცოლეთ. ამის სამაგიეროდ ახლა მე გიბედავთ, რომ თქუტსნც გაყუბდროთ თქუტსნი საყუარელი.

ვ ა ლ. ბოლოს გამოდის, რომ მე ჩემს მგზნებარე სიყ-

(*) შექსპირის დრამს ტროილასს იტყვიდსენ. წვესკონავი აღარ აქრახხო, ღაფიწქებიაო.

ჭარულს მაინც მოუცილებლად ვადგივარ.

მ ა რ დ. რომ ჩაგსვამდნენ სადმე, მალე არ ჩაქრებოდა
ეგ თქუნი მგზნებარე ცეცხლი.

ვ ა ლ. წუხელის ერთ კაცთან წიგნის მწერა დამსაქმა,
ჩემი მეგობარიაო.

მ ა რ დ. მერე? დაუწერეთ?

ვ ა ლ. რა საკურველია.

მ ა რ დ. აბა ეგ წიგნი არ გამოვიდოდა უთავბოლო,
მე მოგახსენო.

ვ ა ლ. სულაც არა; როგორცკი შემეძლო, ისე კარგათ
დაუწერე.—ჩუმათ! აგერ თვთანაც მობძანდება.

(შემოვა სილია.)

მ ა რ დ. ერთი ამ კუეების თამაშობას უყურეთ! როგორ
მოუხერხებია და? თავის მაგიერათ ამასვე ალაპარაკებს წიგ-
ნითა.

ვ ა ლ. ბატონო მადამ! დილა ნებასა ათას გზის!

მ ა რ დ. (ცალკე.) დამე ნებისა არ ერჩივნა! მაგრა ერთი
ერთმანერთს ვინ რამდენაირათ მოიკითხავს—ვინ იცის.

ს ი ლ ვ. ჩემო მხლებელო სინიორ ვალენტინ! აგრეთვე
თქუნიცა

ორი ათას გზის.

მ ა რ დ. (ცალკე.) სარგებელი ამას უნდა ეძლია და ის
აძლევეს; უყურეთ ერთი!

ვ ა ლ. თქუნი რომ წუხელის წიგნი მიბძანეთ, დავს-
წერე უცნობს
თქუნი მგობართან. მე ვერ გავწევდი ამ შრომას, თუ არ
თქუნი სურვილის აღსასრულებლად.

ს ი ლ ვ. დიდათა გმადლობთ, კეთილმზილო ჩემო მხ-
ლებელო!

ძალიან კარგათ დაგიწერიათ.

ვ ა ლ. მერწმუნეთ, მადამ! მაგისი წერა მეტად მიჭირდა,
რომ არ ვიცოდდი, ვისთანა ვსწერდი.

ს ი ლ ვ. ხომ არ შესწუხდით მაგ ჯაფისაგან?

ვ ა ლ. ოჰ, არა, მადამ! ათასსაც დაესწერ
თუ რომ ინებებთ და მე დამსაქმებთ. მე მზად ვახლავარ;--
მაგრამ--მაინც კი--

ს ი ლ ვ. კარგი სიტყუაა! მესმის ეგ აზრი;--მაგრამ მაინც კი-
სახელს არ გეტყვი;--მაგრამ მაინც კი--მე არა ვსწუხვარ;
მაგრამ მაინც კი--თქუტსნთანვე დარჩეს; მაგრამ მაინც კი--
დიდათა გმადლობთ,--და ამას იქით არ შეგაწუხებთ.

მ ა რ დ. (ცალკე) მაგრამ მაინცკი შეგაწუხებფო,--და კი-
დეეაც სხუა მაგრამ მაინცკი,--მაგრამ მაინცკი.--

ვ ა ლ. რას ბძანებთ, მადამ! იქნება წიგნი არ მოგეწონათ?

ს ი ლ ვ. ოჰ, როგორ არა! მშუტსნიერად არის, დიად
მშუტსნიერად.

მაგრამ რადგანაც თქუტსნს უნებურად დაგაწერინეთ, —
თქუტსნთსვე დარჩეს.

ვ ა ლ. თქუტსნთს ნაწერი ჩემთს რათ დარჩეს?

ს ი ლ ვ. აგრე არ არის; ჩემგან ნაწერი და არა ჩემთს
მე რომ მეწერა უფრო საგრძნობლად გამოვიყვანდი.

ვ ა ლ. მამ სხუას დაგიწერთ, თუ რომ ინებებთ.

ს ი ლ. კარგი იქნება! და რომ დასწეროთ, ჩემმაგიერად
თქუტსნ წაიკითხეთ. თუ მოგეწონათ--დიად კეთილი;
თუ არა--მაინც დიად კეთილი.

ვ ა ლ. ესტეჟათ--მომეწონა; მერე რა უყო?

ს ი ლ ვ. თქტსნთანვე დარჩეს თქტსნს გასამრჯელოდ.

ახლა — მშვდობით, ჩემო მხლებელო! (გაეა)

მ ა რ დ ი. (ცალკე) ეს მოხერხება საღ გაგონილა, ვისგანა
თქმულა,

არსად ნახულა, როგორც რომ ცხვრი კაცის სახეზედ,
როგორც მამალი სამრეკლოზედა. ჩემი ბატონი
იმისთუნ კუდებზე; ის კი ამბობს რომ მხლებელი ხარო,
და თითქო შაგირდს თითონ ასწავლის, ასე უნდაო!
ვინ იფიქრებდა ამისთანასა? მწერლათ დაუსვამს
და თავის თავთან წიგნს აწერინებს.

ვ ა ლ. მანდ რას ბუტბუტებ?

მ ა რ დ ი. ისე ვბუტბუტებ, თქტსნ კაიჩევა გამართებთ ახლა.

ვ ა ლ. რაზედა?

მ ა რ დ ი. მადამ სილვიას მოციქულობაზედა.

ვ ა ლ, ვისთანა?

მ ა რ დ. თითონ თქტსნთანა; თავისი სიყუარული რომ
ემმაკობით შემატყობინათ.

ვ ა ლ. როგორ? რითი შემატყობინა?

მ ა რ დ ი. რითი და წიგნითა.

ვ ა ლ. ჩემთვის იმას წიგნი არა მოუწერიარა!

მ ა რ დ. რაკი თქტსნვე დაგაწერინათ, თითონ რაღათ მო-
გწერლათ. კიდევაც ვერ მიმხუდარხართ, მგონია.

ვ ა ლ. ვერა, მერწმუნე.

მ ა რ დ. იმისი ფიქრი რა იყო, ვითამ ვერ მიუხუდით?

ვ ა ლ. ზოგიერთ მკუთხე სიტყუას გარდა იმას ჩემთვის
არა უთქუამსრა.

მ ა რ დ. ნეტა რა ვჭკნა! წიგნი რო მოგცათ, ის რა იყო?

ვ ა ლ. ეს წიგნი იმის მეგობართან არის მიწერილი.

მ ა რ დ. საკმეც ვგ არის, რომ ვგ წიგნი თქუტს მოგცათ.

ვ ა ლ. ღმერთმა ანებოს, რომ უარესი არა იყოსრა!

მ ა რ დ. მე თუტს გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ შეი-
ძლება!

თუტს წიგნის წერა ღიან არ გიჭირთ; მაგრამ იმას კი,—

მორცხობითა თუ, ჩემს გულის პასუხს

არ მიმიტუნდნო, ეს უფიქრნია: ჩემს საყუარელთან,

ჩემგეგრაღ, თითონ იმანვე დამიწეროსო.

მე ამას ბეჯითად ვამბობ, რადგან ვიცი რომ სწორეთ
ასეა.. ახლა რაღასა ჰფიქრობთ, ბატონო! სადილის დრო
გახლავთ.

ვ ა ლ. მე ნასადილვეი ვარ.

მ ა რ დ. ვგ ღიან კარგი; მაგრამ ერთი რამ უნდა გიამ-
ბოთ. სიყუარული ისეთი რამ გველწმავია, რომ ცარიელი
ჰაერიც რო ჰყლაპოს, საყუარელთან ისიც ეყოფა. მეკი ჩემი
უღუფა მეჭირტსა და სწორე მოგახსენოთ, ძალიანაცა მშია.
თუტსს სიყუარულს ნუ მიჰხედავთ ახლა და ჩემთვისაც
გასძარით კელი, გაანძრით ერთი! (გაეღენ.)

სცენა 2. ერონა. ოთახი ჯულის სახლში.

შემოვლენ პროტეოს და ჯულია.

პ რ ო ტ. მოთმენა გემართებს, ნეტარებო ჩემო ჯულია!

ჯ უ ლ. სხუა საშუალო რომ არა არისრა, რა გაეწყობა?

პ რ ო ტ. დროს რომ ვიხელებ, მამინვე მოვალ.

ჯ უ ლ. თუ რომ შენ გული არ შეგეცვალა, მაღე იქნება.
აჰა! სახსოვრად გქონდეს ეს შენის ჯუღლიასაგ-ნ. (ბეჭედს აძლევს.)

პ რ ო ტ. უნდა შეესტუალოთ. აჰ, ეს ჩემგან!

ჯ უ ლ. და ეს კავშირი აღებეცდოთ ჩუბნში წმიდა ამ-
ბორით. (ერთმანერთს აკოცებენ.)

პ რ ო ტ. აჰა, კვლს გაძლევ ამ ჩემის აღთქმის დასამო-
წმებლად:

თუ რომ საათი ისე გავიდა ერთხელ როდისმე,--

რომ ჩემს ჯუღლიას გულ-მოწყვეტილი არ ვიგონებდე,--

მეორე საათს უზენაესის რისხუა მომადგეს,--

საქენჯნავისა და წარმწყმედლის დაეწყებისთვის.--

სხუას ნულარ ვიტყვი; დრო არის ახლა; მიმა მიმელის!

შენი ჭირიმე ნუ ატირდები, დამაგვიანებ.

ახლა მშვიდობით! (ჯუღლია გავა.) როგორ? გავიდა?

ხმაც არ გამომცა? მაგრამ რაღა ხმა? თუ სიყუარულა

ჭეშმარიტია, იქ ლაპარაკი რის მაქნისია?

ნამდვილი გრძობა საქმით მოქმედებს და არა სიტყვით.

(შემოვა პანთონო.)

პ ა ნ თ. ბატონო პროტე! გარეთ გელიან!

პ რ ო ტ. მოვალ, მოვდივარ! ეჰ! რაღა გეთქმის.

ოდეს ტრფილნი ერთი ერთმანერთს განჰშორდებიან,

სიტყუა უწყდებათ და მუნჯდებიან. (გავეღრნ.)

სცენა 3. ევრონა. ქუჩა.

შემოვა ლაუნსი და თავისი ძალი შემოჰყავს ბაწრით.

ლ ა უ ნ ს. არა! მე ერთი საათიც არ მეყოფა, რომ

თვალეზი შევიმრო! ასე გვჭირს ყველა ლაუნსებსა. როგორც უძღებ უკლსა, მეც შემხუღა ჩემი რიგი--და ახლა ბატონს პროტეოსს უნდა გაეჰყვე, იმპერატორთან რო მიბძანდება. მე მგონია, ამ ჩემი კრახისთანა უგულო ძაღლი მთელ ქუტყანაზედ არსად იბოვებოდეს. აბა თქუტსნი ჭირიმე: დედა ჩემი ქუტუკუტებს; მამაჩემი იცინგლებს; ჩემი და ღრიალებს; ჩუტსნი ვაღია ტირილითა სკდება; ჩუტსნი კატა კელებს იმტერეეს მწუხარებითა;--მთელი ოჯახი სულ გადმობრუნებულია ალიაქოთითა,--და ამ წყეულმა ძაღლმა აბა თუ ერთი ცრემლი ვადმოვადლოს! ქუა არის ეს ტიელი; ტალია, და როგორც ძაღლს არა აქუტს შებრალება, ისე ამასა. ურჩიასაცკი ამოუჯდება გული, ჩუტსნი გამოსალმება რო ენახა! მაგრამ ურჩია რა? ასე ვაწინჯეთ, ჩუტსმა ბებერმა ვაღიამაცკი დაითხარა თვალეზი ტირილითა! აჲ, ეხლავ გიჩუტსნებთ როგორ იყო! ეს ბაშმაკი არის, ესთქუათ, მამაჩემი!--მაგრამ არა; მამაჩემი--ეს მარცხენა ბაშმაკია!--ოჰ! არა; არა! დედაჩემია ესა;--თუ არც დედაჩემია? დიაღ! როგორ არა, სწორეთ დედაჩემია; ძირი ამას უფრო ვაცუტსთილი აქუტს!--ეს ძირვაცვეთილი ბაშმაკი დედაჩემია და ეს მეორე-მამაჩემი. ცუდი კაცი ვიყო, თუ ეს ასე არ იყო! ახლა, ბატონებო! ეს წკვებლა--ჩემი და არის, ამიტომ რომა, უნდა მოგახსენოთ, ჩემი და ისეთი თეთრია, როგორც ზამბახი და ისე წვრილია, როგორც ლატანი,--ლატანი რას ჰქუა,--როგორც წკვებლა.--ეს ქუდი არის ნენე, ჩუტსნი გამდეღი. მე ვარ ძაღლი. ნწ, ნწ! ძაღლი ეს არის და მე ძაღლი ვარ. ოჰ! არა! ის ძაღლი არის მე და მე ვარ მე. დიახ! ასე, ასე! ახლა--მედეღივარ მამაჩემთან: „გზა დამილოცე მამჩემო!“--და

აჲ, ბაშმაკი ხმას ვერ იღებს, სულ იცინგლება. ვესალმები და ეკოცნი მამაჩემსა, მაგრამ გულამამჯღარო მაინც ვერ იღებს ხმასა. ახლა მივალ დედაჩემთან. (ოჰ! ეს ბაშმაკიც რომ გამწარებული დედაკაცივით ალაპარაკდებოდეს!) კარგი! მივალ გადავეხტვი და კოცნას დაუწყებ, აჲ სწორეთ ასე. ეს სწორეთ იმასი ქმენაა აქეთ-იქიდან? ახლა მივალ ჩემ დასთან. გესმით, გესმით თქუტსი ჰირიმე როგორა ღრიალებს? და ეს წყეული, ეს შეჩუტნებელი ძალი, ისე შეკრული დგას, რომ ცრემლი არ კადმოუგდია, კრინტი არ ამოუღია,--და მე ხო მხედამთ, ცრემლებით ესლაც რომ მიწას ვატალახებ.

შემოვა პანთინო.

პ ა ნ თ. ლაუნს, გასწიე, ახლავ გასწიე! შენი ბატონი გემშია ახლა და შენ ნავითლა თუ მოეწევი. მაგრამ--რა დამართვია,--რას ხვხვებ მანდა? გაიქე მეთქი, თორემ, თუ ერთი წამი კიდევ დაიგვანე, სულ დაჰკარგავ...

ლ ა უ ნ ს. ოჰ, ოჰ, ოჰ! მართალია თავს მოვიკლამ თუ ამისთანა შეუბრალებელი დავჰკარგე.--

პ ა ნ თ. ვინა, მერე, შეუბრალებელი?

ლ ა უ ნ. ვინა და ეს ჩემი ძალი!

პ ა ნ თ. რამ გამოგამტერა, კაცო! მე გეუბნები რომ ზღუა გაბრუნდება და შემთხუტუას დაჰკარგამ მეთქი, რომ გემსლა მოეწიო; თუ ეს შემთხუტუა დაჰკარგე, გზასაც დაჰკარგე; თუ გზა დაჰკარგე, ბატონსაც დაჰკარგავ; თუ ბატონი დაჰკარგე, სამსახურსაც დაჰკარგავ; და თუ სამსახური დაჰკარგე..... რაო? რაზე მაფარებ პირზე კელსა!

ლ ა უ ნ. შენ ეგ ენა არ დაჰკარგო!

პ ა ნ თ. ენას როგორ დაეჭვარგავ, რას ამბობ?

ლ ა უ ნ. როგორა და ლაქლაქითა.

პ ა ნ თ. როგორ თუ ლაქლაქითა?

ლ ა უ ნ. დროს დაჭვარგამო, გზასაო, ბატონსაო, სამსახურსაო და ადგილსაო. გამიგონე, შენ ეი! მდინარე რომ სულ გაშრებოდეს კიდევცა, ჩემი ცრემლებით ვადენდი; ქარი რომ სულ დადგებოდეს, ნაეს ჩემი ვაჟთა და უჟთ ვარბენინებლი.

პ ა ნ თ. გეყოფა, კაცო! გამოსწი მეთქი. შენ დასაძახებლად გამოგზავნეს მე აქა.

ლ ა უ ნ. დამიძახე და რაღას უყურებ?

პ ა ნ თ. მოდიხარ, თუ არა?

ლ ა უ ნ. მოვდივარ, მაშა? (გაველენ).

სცენა 4. მილანი. ოთახი ღუკის სასახლეში?

შემოვლენ ვალენტინ, სილვია, თურიო და მარდი,

ს ი ლ ვ. ჩემო მხლებელო!

ვ ა ლ ე ნ. ბატონო!

მ ა რ დ. ბატონო! უფ. თურიო როგორღაც იბღვრება.

ვ ა ლ. ტრფიალია და იმიტომ.

მ ა რ დ. თქუენი--არა მგონია.

ვ ა ლ. ჩემიკი არა, ჩემი ქალბატონისა.

მ ა რ დ. შეაქცევდით ერთი; ურიგო არ იქნებოდა.

ს ი ლ ვ. ჩემო მხლებელო! გატყობთ, როგორღაც მოწყენილი ხართ.

ვ ა ლ. მეცა მგონია ჩემო ბატონო!

თ უ რ ი ო. თქუენ რაც არა ხართ, ისა გგონიათ?

ვ ა ლ. ვგეც იქნება აგრე იყოს.

თ უ რ. მამა ჰსჩანს, ყალბობთ?

ვ ა ლ. დიად, თქუენსავეთ.

თ უ რ, მე როგორა ვჰყალბობ?

ვ ა ლ. ვითამ ჰკვანობთ.

თ უ რ. რამი მეტყობა?

ვ ა ლ. მაგნაირს დაუხედაობაში.

თ უ რ. მერე აგრეთი რა შემამჩნიეთ?

ვ ა ლ. ეგ მორთულობა.

თ უ რ. უსარჩულოა? თქუენა გგონიათ.

ვ ა ლ. თქუენვე ამტკიცებთ, თქუენი სირეგენე ორკეცი
ყოფილა.

თ უ რ. როგორა, რაო?

ს ი ლ. ჯავრობთ, თურია? სახე გეცტლებათ.

ვ ა ლ. არა უშავსრა; ქამელეონის გუარისა არის.

თ უ რ. მე ბევრით მიჯობს, თქუენს სისხლსა ვჰსტამდე,
ოღონდვი თქუენთან არ ვიქნებოდე.

ვ ა ლ. გითქუამთ, გახსოვდეთ.

თ უ რ. მითქვამს და მახსოვს; ამით გათავდა.

ვ ა ლ. მე კარგათ ვიცი, რაც არ გიწყუათ, იმას ათავებთ

ს ი ლ. საუცხოოთ ესერით ერთმანერთს სიტყვებსა! და-
ლიან ფიცხდებით!

ვ ა ლ. დიად! მადლობა ცეცხლის გამჩენს.

ს ი ლ ვ. ვინ არის, მერე, ცეცხლის გამჩენი?

ვ ა ლ. თქუენა ბძანდებით, ყოვლად სანატრო! თქუენ
გვიჩინთ ცეცხლსა; —

თურიო თავისს მჭერმეტყუტლებას მაგ თვალეზიღამ
სესხულოზს აქა და ნასესხს უხტად აქავე აზნეფს, —
თქუტსნ წინაშევე.

თ უ რ ი ო. სინჰორ ვალენტინ! თუ აგრე ჩემთან სიტყუ-
ბის ხარჯვას
თქუტსნ არ მოიშლით, მე მალე დავსცილი თქუტსნს ჭკუის
კოლოფს

ვ ა ლ. მე კარგათ ვიცი ვეგა, უფალო! თქუტსნი ხაზინა
სულ სიტყუტბია, სხტა არა ფერი. თქუტსნს მსაურებსაც
აჩნიათ ვეგა, რომ ჯამაგირი სხტა არა აქუთ რა.

ს ი ლ ვ ი. ახლა კი კჰარა; ვეგეც გეყოფათ. ა! მამა ჩემი!
(შემოვა დუკი.)

დ უ კ ი. შვლო სილვია! გეტყობა, მედგრად შემოგჩენიან!
ჩემო ვალენტინ! მამი თქუტსნისა--კარგი ამბავი!--
რას იტყვით, რომ მე მეგობრებისაც კარგი ამბავი
შეგატყობინოთ?

ვ ა ლ. თქუტსნი უგანათლებულესობა რასაც კარგს ამბავს
მიბძანებთ ხოლმე, წრფელის მადლობით ვარ მე აღესილი,

დ უ კ ი. დონ — ანტონიოს იცნობთ თუ ვერა, თქუტსნის
ქუტყუნისას.

ვ ა ლ. ძალიან კარგათ. ჩემო მეუფევე: კეთილშობილსა,
პატივეცემულსა და შეძლებულსა, სამსახურიოთაც
გამოჩენილსა.

დ უ კ ი. შვლი ჰყავს იმას?

ვ ა ლ. დიად! ბატონო! ყოველითურთ დირსი თავისი მამის
იმედისაცა და საკვლისაცა.

დ უ კ ი. იმასაც იცნობთ?

ვ ა ლ. როგორც ჩემს თავსა! სიყმაწვლითვე ერთათ ვი-
ყავით.

და მეკი თუმცა,—აქ აღვიარებ,—ზარმაცი ვიყავე,
რომ ჩემს ძკრფას ღროს ფუქად ვაბნევედი, განვიათარებას
არა ვჭფიქრობდი; მაგრამ პროტეოს, საკელი გახლავთ
იმ ყმაწვლისა,— ღროს არ კარგავდა, რომ შეეძინა
ყოველი სწავლა. ხნით ყმაწვლია; მაგრამ სწავლითა,
გამოცდილებით, თითქმის მოხუცი, მსჯელობით სრული.
რომ შეევამოკლო (რაც უნდა ვაქო, იმისს ღირსებას
მაინც ვერ აღვსწერ), ყოველად სრულია ზნეობითაცა
და გონებითაც; ყოველას თვსებით ყოველად მდიდარი,
რაც კი შეჭმუტნის კეთილშობილურს შთამომავლობას,
დ უ კ ი. ეგ თუ აგრეა, როგორც თქუტსნ ამბობთ,—იმ-
პერატორთან

თანამზრახველად რომ განაწესონ, იქაც ივარგებს.--

ღიად კეთილა! ეს ჩინებული ყმაწვლი კაცი
აქ არის ახლა. სხტანიცა მწერენ იმისს ქებასა
საპატიონი და ღირსნი პირნი,—და აქ აპირებს
რამდენისამე ხნის გატარებას. ვჭგონებ ვიამოთ
თქუტსნ ეს ამბავი.

ვ ა ლ. მაგის უკეთესს მე სხტას ვერაფერს ვერ ვინატრებდი.
დ უ კ ი. მამ იმედი მაქუტს, ისე მიიღებთ, როგორც შეჭ-
მუტსნის.

შენ გეუბნები ამას, სიღვია! და თქუტსნ, თურო!
ვალენტინისას მე არას ვიტყვ. წავალ და ახლავ
გამოგიგზავნით. (გავა)

ვ ა ლ. ის გახლავთ, მე რომ მოგახსენებდით, რომ უსათუოდ

მე მომეცებოდა, იმის თვალები საყურადღის თვალებს
რომ არ დაება.

ს ი ლ ვ. სხუა რამ საწინდარს დასჯერებია, ეტყობა, ქალი,
რომ ტყუპობიდამ აგრე ადვილად გამოუშვია!

ვ ა ლ. არა მგონია; სარწმუნოდ ვჭფიქრობ, ისევე ტყუპდ
იყოს.

ს ი ლ. თუ თავის ნებით მოსცილებია, მამ ბრმა ყოფილა;
და თუ ბრმა არის, როგორ იარა, როგორ მოგაგნოთ?

ვ ა ლ. რატომ? ამბობენ, ტრფიალსა აქუსო ოცი თვალიო,
თ უ რ. აგრევი არა, სულ არა აქუსო ტრფიალს თვალიო,
ასე ამბობენ.

ვ ა ლ. თქუპნებრ ტრფიალსა--დიად, თურიო! უეჭუპლია,
თუ ტრფიალებამ საზარელს საგანს შეჭხედა სადმე,--
იმავე საათს თვალებს დაჭხუჭავს.

(შემოვა პროტეოს.)

ს ი ლ. კმარა, გეყოფათ! აგრე, აქ მოდის ის ყმაწულიცა.

ვ ა ლ. პროტეოს ჩემო! ჩემო პროტეოსს!.. დიდად გთ-
ხოვთ, მადამ!

კეთილ ინებოთ და თქუპნის მხრითაც სასიამოვნო

სიტყუა უბძანოთ ჩემს მეგობარსა.

ს ი ლ. თუ მართლად თქუპნი მეგობარია, ეს თქუპნი
სიტყუა

თვთვე გვიმოწმებს, რომ საამოა მაგათი მოსელა.

ვ ა ლ. სწორეთ ის განლაგეთ; და გვედრებით ნება უბოძოთ,
რომ ესეც იყოს თქუპნი მხლებელი, ერთად ჩემთანა.

ს ი ლ. მე რომ მაგგვარი მსახური მახლდეს, როგორა
ვჭლირსვარ?

პ რ ო ტ. ოჰ! რასა ბძანებთ; მე ვარ უღირსი თქუტუნის
ხლებისა.

ვ ა ლ. უღირსობაზედ ნულა რას ვიტყვი; ნეტარო ლედი!
გულს მოღვინედ გთხოვთ--თქუტუნად მხლებელად მიიღოთესე!

პ რ ო ტ. დაეჟადებკი, რომ მტყიცეთ ვადგე თქუტუნს
სამსახურსა.

ს ი ლ. ერთგულსა მსახურს მარად ექნება თავისი ჯილდო.
რა რომ ასეა,--მოგესალმებით, ჩემო მსახურო,--

მე ქალბატონი, თქუტუნი უღირსი!

პ ყ ო ტ. ეგ რომ სხუას ეთქუა, სწორეთ მოგჰკლავდი.

ს ი ლ. რა? მოსალმება.

პ რ ო ტ. არა! რომ ღირსი არ ბძანდებოდეთ.

(შემოვა მსახური.)

მ ს ა ხ უ რ ი. მადამ! ბატონმა--აჟ მობძანდითო!

ს ი ლ. ახლავე, ამავე წამს ვეახლები. (მსახური გავა.)

იურიო! ჩემთან! ერთათ წაეიდეთ! განმეორებით,
კეთილი იყოს თქუტუნი აჟ მოსელა, ჩემო ახლო
პოსამსახურეე. ახლა თქუტუნ თქუტუნთვს ილაპარაკეთ.
და მერევი ეს არ დაივიწყოთ, რომ აჟ მოგელით.

(გაველენ სიღვია, თურიო და მარდი.)

ვ ა ლ. ახლა, პროტეოს, ჩემო პროტეოს! მითხარ, ვე-
რონას

ვინ როგორ არის?

პ რ ო ტ. კარგათ ყველანი და მეგობრები
თავს გიკვრენ შენა.

ვ ა ლ. შენნი, როგორლა?

პ რ ო ტ. ისინიც აგრე, ძალიან კარგათ.

ვ ა ლ. შენი ჯულია? თქუქსნს ტრფიალებას დაბოლოება მიეცა რამე?

პ რ ო ტ. მაგის ამბავი შენ ხომ ყოველთვის გეჯავრებოდა და რათა მკითხავ, თავს არ მოგაწყენ.

ვ ა ლ. ახლა სულ სხუა ვარ, ჩემო პროტეოს! ის აღარა ვარ.

მძიმედ გარდამხდა მე ტრფიალების შეურაცხება! იმისმა ძალმა, ყოველად ძლიერმა, მეტად დამსაჯა: მარხულობითა, სინანულითა, ცრემლის ფრქვევითა,-- ოხტრით, კუნესითა; რალა არა მჭირს, რომელი გითხრა? აღარსად ძილი, არც მოსტყნება; სულ ტანჯუთა, ენება! ცხადათა ეჭხედავ, რომ ტრფიალებას დიდი უფლება ჰქონია ჩუქსნჯედ! კარგად ეჭგრძნობ ახლა ჩემო პროტეოს, რომ ქუტყანაზედ იმაზედ მეტი არა არისრა, არც მწუხარება, არც ფუფუნება! რა რომ ეს ვიგრძენ,-- სალაპარაკო აღარა მაქუსრა; სულ ტრფიალება, სულ სიყუარული. ესლა ჩემთვის ახლა საუზმეც, სადილ-ვახშამიც, მოსვენებაცა და ღამის თევაც.

ღებს მათ წინააღმდეგ საშუალობასა; მაგრამ გულის დად-
ნობას, თირკმელების დახურუას, ჯავრსა, ნადველსა, რო-
მელიც მხოლოდ კაცისაგან შეემთხვევა კაცსა, ვერ გაუძ-
ლებს, და მამასადამე, ვერც ტკბილად იცხოვრებს და დიდ-
ხანსა--„ტკბილად არ დაბერდება.“ სჩანს მხოლოდ კაცია ბო-
როტო, სჩანს ლიტონი მხოლოდ სურვილი არ დააბერებს
კაცს ტკბილად, სჩანს კაცი კაცს უნდა შეეწიოს, რომ და-
ბერდნენ ტკბილად. რატომ ასე არ არის და ვინ არის და-
მნაშავე?

გამოვიკელიოთ:

რომ აქეთ იქით ღობე-ყურეს უბრალოთ არ მოვედნეთ,
ესე იგი, მრავლის მეტყუტსლებისათვის შორიდამ არ დავიწ-
კოთ და მით არ შეგაწყინოთ, მოდი პირდაპირ დავსახოთ

დამნაშავეთ საზოგადოება.—„რაო? — შემომიტყვეს ვინმე: საიღ-
გან საღაო, წმიდა საბაო, საზოგადოება საიღამ წამოხსნი-
რეო“ — მოითმინეთ, სიცხარით საქმე არ გაკეთდება,
სჯობს გულგრილად მოვილაპარაკოთ.

რა არის საზოგადოება?—რაედენიმე სახლობა, ერთათ
დასახლებულები, შეადგენენ ერთს საზოგადოებას. ადგილებს,
საღაც საზოგადოებები შედგენილან, უწოდებენ: დაბებად,
სოფლებად და ქალაქებად. რაედენიმე სოფლები და ქალა-
ქები შეადგენენ ერთს დიდს საზოგადოებასა.

რათ შედგენილა საზოგადოება? — კაცსა ჰყავს მტერი,
თავისივე ძმა—კაცი. რომ არ წახდეს გარეშე მტრისაგან,
საჭიროა იმისათვის შემწე. კაცსა ჰყვანან მტრად სწეულება
და სიკუდილი რომ უბრალო მიზეზით უღროოთ არ
მოკუტდეს კაცი, იმას ეჭირება მკურნალი. კაცი უიშველა
ადგილზე ვერ იცოცხლებს: სიცივე, სიცხე, წვიმა, თოვლი
ქარი აწყენენ; მაშ საჭიროა იმისთვის სახლი? კაცს ეჭირება
გარეშე მტრის მოსაგერებლად იარაღი, ტანისამოსი და სა-
ზღო. მარტო ხელი კაცი ყოველს ამას ვერ მოიხერხებს,
საჭიროა მისთვის: კალატოზი, ხურო, ღურგალი, ფეიქარი,
იარაღის გამკეთებელი დ სხ. ესთქუათ მამა სახლისა გადა-
ბრუნდა და მოკუტდა, დარჩნენ პაწაწკუნა შვილები და ქერი-
ვი. ვინ უპატრონებს იმათ, თუ სხუა შემწე არ ეყოლე-
ბათ? ამ საჭიროების გამო რაედენიმე სახლობა ერთმანერთს
მიეკედლნენ და შეადგინეს საზოგადოება. სჩანს საზოგადო-
ება დაწესდა გარეშე და შინაურის მტრების მოსაგერებლად;
შრომში და ცხოვრებაში, ჭირში და ლხინში, ერთმანერ-
თის გამოსაზღვლად, რადგან ამ სახით დაფუძნებულ საზო-

გაღობებში ერთი მეორეზე არის დამოკიდებული დ ერთი მეორეში ხედავს შემწვსა, ამიტომაც საზოგადოება უნდა ეწეოდეს დაერდომილს, უძლურს, პაწაწა ობლებს და დააყენებდეს წესიერ ცხოვრებაზედ ურიგოდ მქცევს წვერსა თვსსა; სიტკუთ, საზოგადოება არის ერთი სხეული. როგორათაც კერძო კაცი გაუფთხსლდება და მოუფლის თავისს სხეულსა, რომ არც ერთი ასო, არ წაუხდეს, — და თუ, ვინცობაა, წაუხდება რომელიმე ასო, მამინ ამ ასოს მოიჭრის და გადააგდებს, რომ მთელი სხეული არ წაუხდეს, — ეგრეთ სწორეთ საზოგადოებაც უნდა უფთხილდებოდეს ყოველს თავისს წვერთა, თუ სრულიად, შეუძლებელია იქნება მისი განკურნა. სწორეთ ასე საზოგადოება ეხლაც უნდა აღასრულებდეს თავისს დანიშნულებასა. მაგრამ კი არ აღასრულებს.

მას აქეთ, რაც საზოგადოება გაიყო კასტებად, მას აქეთ რაც უცხო თესლებმა შემოიტანეს თავიანთი სიპლუტე, დასაძრახისი ხასიათები და უგუჟანი ჩუბულებები, საზოგადოებამ სრულიად დაივიწყა თავისი წარჩინებული დანიშნულება: ერთი აღმა მიიწევს და არა კადრულობს სხტუბსა, მეორე ამას ჰბაძავს და მიელტვის პატრისა, მესამე სხტა გზით დადის, მეოთხეს ყველა სჩაგრავს და არის მარად ფეხ ქუშმ გათელილი, — კაცად არავის მიაჩნია. აღარ არის ერთ სულუბა, ერთმანერთის დახმარება და გატანა; ერთი მეორეს მტრობს, ჰკლავს ან სიტყვით, ან საქმით, სტაცებს უკანასკნელ ცხოვრების ღონისძიებასა, უსამართლოდ დაათრევს სასამართლოებში, სტანჯავს, სულსა ხდის და მასთანავე ეს ცუდი კაცი ყოველს ახალს ახალს წელიწადს თავისს მსხვერპლს

ჰლოცავს: „მაქარივით ტკბილად დაბერდიო.“ აბა ამ საზოგადოებაში რომელი იცხოვრებს კეთილად და ტკბილად დაასრულებს თავის სიცოცხლეს.

მეტყვი: „ყველგან ეგრე არისო, ჩუშნლა რანი ვართო, რომ საზოგადო მიმართულებას გადავიდეთო და ძმურად ვიცხოვროთო?“--გიპასუხებთ: თუ საზოგადო მიმართულება ცუდია, ნუ თუ უთუოთ ცუდს უნდა მივსდითო, ამიტომ მხოლოდ, რომ ყველა ამ ცუდს მისდევს? მაგრამ მე გაჩუშნებთ, რომ ყველა საზოგადოება საზოგადო ცუდს მიმართულებას არ მისდევს, და სცხოვრებს ძმურად. შორს არ წაგიყუანთ მაგალითისათვის: აქვე, აქვე, ჩუშნის თვალე-ბით ვხედავთ ძმურის საზოგადოების მაგალითსა: აქაური კალონიების ნემენცები თავიანთ დაცემულს აძლევენ შემწეობას (სახლკარს მოუწყობენ, მისცემენ სამუშაო იარაღსა და სხ.) ობოლს ზღიან, იმისს მამულს უვლიან და ჰპატრონობენ, ზნეობით წამსდარ კაცს ორჯელ-სამჯელ დააყენებენ კეთილგზანდ და გააგდებენ საზოგადოებიდან თუ ეს კაცი არ მოიუტოს ცუდ ყოფაქცევას, იმისს მამულსკი არა დროს არ დაუკარგვენ იმისს მემკვდრეებსა.

ორის წლსა დამიტევა მე მამა ჩემმა ობლად. ლოთობაში, ქალაღლის თამაშობაში და გარყენილებაში წაგო ჰქუა, გონება, სიცოცხლე, საცხოვრებელი და უკანასკნელ წამგო თვთან მეც. არ იცოდა შრომა ტკბილი იყო თუ მწარე;

არ იცოდა შრომისაგან როგორ წამოსყდებოდა კაცს შუბ-
 ლზე ოფლი; არ იცოდა თუ რა ტყბილი იყო შრომის შე-
 მდეგ გამხმარი ლუკმა: მიმშილს ევრა გრძნობდა, და თუ
 მოხდებოდა როგორმე რომ კუჭი მოსთხოვდა საზრდოსა,
 მამა ჩემი დასტანჯავდა ისევ კუჭს შიმშილით, ქალაღდის
 თამაშობასკი არ მოსწყევტდა; იყო დაუღვენელი და მამუ-
 ლის შემუშავებას და შემოსავალს არას დასდევდა; ამიტო-
 მაც ცოლშული საცოდავ ცხოვრებაში ჰყავდა; მამული და
 მამულის შემოსავალი ქურდობით გაუნახევრეს; მამა ჩემს
 ახსოვდა მხოლოდ ქეიფი, რომელიც შესდგებოდა ქალაღ-
 დის თამაშობაში, უგზო-უკვლოთ ფულის გაბნევაში და
 ღვინოს სმაში; ის იყო მკუდარი საზოგადოებისათვის, ის იყო
 მყრალი მძორე, რომელიც დაშხამამს და დაასნეულებს არე-
 მარეს და საზოგადოებას. მაგიერ მისა, რომ ეს მყრალი
 მძორე საზოგადოებას ან განეყურნა მოქცევით კეთილ გზა-
 ზედ, ან მოეკვეთა და განეგდო თავისს წრიდგან, რომ მი-
 სი სწეულება სხუასაც არ გადასდებოდა, მაგიერ ამისა სა-
 ზოგადოება გულგრილად შესცქერიდა მას და არა ზრუნავ-
 და მისთვის; ზოგიერთნილა მისი მოძმენი, ნათესავი და უც-
 ხო უფრო კელს უმართაენდენ საძრახ მოქმედებაში, რად-
 გან ესენიც მამიჩემის ხარჯზედ გამოდიოდნენ, ფულსაც
 ცბიერობით უგებდნენ და წერილწვრილათ მამუელსაც ხე-
 ლილამ ართმევდნენ. მამა ჩემი ვალს იღებდა, რომლითა
 ზდიდა, გარეშე ცოლშულსა, მტერ-მეგობრებსა. მტერმეგობ-
 რები თვთან ხელს უმართაენდენ ვალის აღებაში, თვთან
 აძლევენდენ ვალსა და თვთანვე უკან მიჰქონდათ რასაც კი-
 სერზედ აწერდნენ. მე დამიტევა დიდი ვალი და მეოთხენდი

იმ მამულისა, რომელიც გადმოსცა მამაჩემს პაპაჩემმა. ნუ თუ საზოგადოება მოვალე არ იყო მოექცია მამაჩემი კეთილ გზაზედ და დაეყენებინა სასარგებლო ცხოვრებაზედ? ნუ თუ საზოგადოება მოვალე არ იყო გულმოდგინედ მიეღო შუამდგომლობა და მფარველობა, რომ მამაჩემს მამული არ გაეზნია? მეტყუთ: „მამაშენი ვის რას დაუჯერებდაო, კარგათაც გამოგვლანძლავდაო და სასაცილოდ აგვიგდებდაო, ნამეტნავად, როდესაც თვთ კანონი აძლევდა მას უფლებას მამულის თავისუფლად მოხმარებისას. „მე გიპასუხებთ: მეორე კანონიც არის, რომლითაც გამბნევეს და გამფუჭებელს უთუოთ უნდა ჩამოერთოს მამული, რომ ეს მამული ხელ შეუვალად გარდაეცეს მემკვიდრესა. — „ძალიან კარგი, იტყუთ, მაგრამ ერთი პირი რომ არა გვაქუსო?“ — აბა ეგ არის სატირელი, მაგას ვჩივი მე.

 3.

ღელა ჩემი იყო, იმისს საუბედუროდ, ვიღაცა ცრუმეცნიერების ჩამამავლობისა; ამ ჩამამავლობით დიდად მოაქტუნდა თავი და მეცნიერებაზედ თავსა სდებდა; სხუა საქმე რა ჰქონდარა. ჩუბულებრივ დილით ილოცავდა და საჩქაროთ ლოცუას გაათავებდა, გვეგონებოდათ, თვთქოს რაღაცა საშურ საქმეს მიემურებოდა. ლოცვიდამ არა რა გამოჰქონდა, ამიტომ რომ ჩქარა და შეუგონებლივ კითხვლობდა, არ ესმოდა, არც უნდოდა გაეგო, ძალა ლოცვების სიტყუტებისა. არას დროს ყურადღება არ მიუქცევია ფსალმუნის

სიტყუტბზხედ: „ მხნე იყავ და განძლიერდი, „ ანუ ჰავლე მო-
 ციქულის სიტყუტბზხედ: „ საზრდოსთვს რომ არა ვის აწუხე-
 ბდა, რომ თავისის ხელეებით მოიპოვებდა საზრდოსა. „ ლო-
 ცვის შემდეგ ან მივარდებოდა ძტპლ წიგნსა, რომელიმე
 უგუნურის ცრუ-ჭილოსოჭოხებისას, თუმცა იქილამ არაფრისთანა
 არა გამოჰქონდარა, ან უწიგნოდ დაჯდებოდა და რალაც
 საგანზე ჰფიქრობდა, რომელსაც თავისის შორს მხედველო-
 ბით და ღრმა გონიერებით გადაწყვეტდა. სჯას, მჰაზერელო-
 ბას და ბაას ჩამოადგებდა ხშირად უფრო იმ საგანზე, რო-
 მელიც სრულიად ვერ გადასწდებოდა და რომლის გადაწყ-
 ვეტა სრულიად საჭირო არ არის, მაგალითად: „ადაში რო-
 მელს ენაზედ ლაპარაკობდარა და სხ.“ და არა ღროს არ
 დაფიქრებულა იმ საგანზედ, თუ იმისი გონება რომელს ენა-
 ზედ ლაპარაკობდა, ეს ფიქრი რომ მოსელოდაბუნებითს თუ ქაჯურ
 ენაზედ ლაპარაკობდა, ანუ თვთან ძალის-ძალათ მოეცუანა, უთუოთ
 დაინახავდა თავისს შეცთომასა და დაიწყებდა სჯას მაზედ, რო-
 გორ მოაქციოს ქმარი გონიერ ცხოვრებაზედ, როგორ შეი-
 მაგროს მამული მტაცებლებისაგან და როგორ შემუშავოს
 მამული საზღოს გასამრავლებლად; სიტყუთ, დაინახავდა შრო-
 მის სარგებლობასა და იმრომებდა. — გარდა ამისა დედაჩემი
 სხტა აზრებშიაც იყო გაროული. იმას სულის მწარით ენა-
 ტრებოდა, რომ ყოველი ეს უცებ, თავისს თავათ, კარს
 მისდგომოდა რომ კელ შეუძრავად ღიდებით ეცხოვრა: —
 შრომა ეთაყილებოდა, რადგან არ შეესაბამებოდა იმისს მე-
 ცნიერს ჩამომავლობასა. ამასობაში უსენინდისო ნათესაეებმა
 და მეზობლებმა დაიპარეს წვრილწვრილად და მიიჩემეს ნა-
 ხევარზე მომატებული დანარჩენის ჩემის მამულისა. დედაჩემს

სწყინდა, მხოლოდ ეს კურღობა, მასთანვე ეხარებოდა დავა; ზილოს, განმავლობაში, სრულიად გაეყინა და დავიწყდა კურღობის ნამოკქედები, თუმცა მე დავრჩი უსახლოვო.

ეს დელაჩემა, მემკვდრე იმისთვის ჰაერში შემზადებულ სიმღიდრის, სადილობის დროს უბძანებდა ხოლმე მოახლეს.

— თქალამაზისავე, სადილი მოიტანე!

თქალამაზისა მოიტანდა მძიმედ რილაც უფერულ, მიგ-ლეჯვალ-მოგლეჯილს სუფრას. გაშლიდა და დესდებდა ერთ პურსა, ხან პურსაც არ მოიტანდა უკონლობისგამო.

— სხუა არა გვაქვს რა? — ჰკითხავდი დედი მოახლეს, შემდეგ ნახევარ საათის ლოდინისა.

— არ, გახლავსთ.

ეს დედა ჩემი ყოველდღე ასე სადილობდა და ირჩევდა ესრეთ სადილზედ გადაეტარა დღე, ვიდრე სიტყუა ეთქუა მოსამსახურესათვის, რომ სადილათ შემზადებინა მხალი მაინც. ამ უბედობისათვის ის უბედობაც დაემართა, რომ ვალს არა ვინ აძლევდა, და თუ ვალის აღების ბედი დაჰყოლოდა დედისმუცლიდამ, მაშინ კი, ღუთის წყალობა გიქუთსთ, დედა ჩემი სადილებს გამართავდა (რასაკრველია არა თავისის გამგეობით) მზარეულის განკარგულებით; მაშინ სუფრის მოტანაზედ ბძანებაც აღარ დავხარჯებოდა. დახედეთ უბედურებას!

მეტყვთ: „დედამამაშენი ეგეთები ყოფილანო, საზოგადოება და როგორ რასმე შეიძლებდოდა ვაესწორებინა შენი მშობლები? — მართალია, დედამაჩემის გასწორება თითქმის შეუძლებელია და იყო; მაგრამ საზოგადოებას შეეძლო (ვალის ჰქონდა) დანარჩენი ჩემი მამულები უკანვე დაებრუნებინა

მტაცებლებისგან; საზოგადოებას შეეძლო ჩეხბარებინა ჩემი მამულები პატიოსან პირისათვის დასაცავად და მესამე მუშაებლად, ამიტომ რომ მე ვიყავ წვერი საზოგადოებისა და მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. მეტყვეთ კიდეც: „ოპეკა არის დაწესებული, ოპეკას უნდა ეზრუნაო.“ — ეჰ, თქუტ დალოცვილებო, თითქოს არ იცოდეთ ოპეკუნების საქმეები! განა მგელს ბატკანს, ანუ მელას საქათმე მიენდობა! საზოგადოებისაგან და არჩეული ოპეკუნი სრულიად სხტა იქნებოდა. მაინც თქუტსას პასუხს აქუტს საფუძველი: ოპეკა კეთილი დაწესებულება არის; მაგრამ თუთან ოპეკა თავის-თავათ თავს ხომ ვერ გამოიღებდა; უთუოთ საჭირო იყო საზოგადოების ზრუნვა, ნამეტნავათ ჩემს უპატრონო მდგომარეობაში. — გნებაესთ ამაზე მეტი მწარე ჭემაჩიტება ესთქუტა? მოისმინეთ და ნუ გამიწყრებით. როდესაც ქურდი და აშკარათ მტაცებელი მამულს იპარავს ანუ ძალით აშკარათ იტაცებს, მაშინ დანაშთენნი საზოგადოების წვერნი თუალ-ხუჭუნას თამაშობენ, იმ იმედით, რომ ესენიც (ქურდები და მტაცებლები) მიუწყვენ იშათ თავისს დროზე იმავე საწყაულით, გადაუხდიან. იქნება ვისმე თქუტსნგანს ეწყინოს ეს სასტიკი განჩინება და მიპასუხოს; „იქნება, მაგრამ რადგან თქუტს უხმოთ შთებით, სიმართლისათვის თავს არა სდებთ და ბოროტს აძლევთ მოქმედებისათვის ფართო გზას, თვთ თქუტსნც მონაწილენი ხართ ქურდობაშიც და ავაზაკობაშიც. მიპასუხებენ; მთავრობა, კანონები და სამართალი მოჩემებულნი გვეყუანანო, ამათ ეკუთნისო გარდახდევინება და სამართლის მოცემაო.“ — სრულიად მართალია, მაგრამ მოისმინეთ მაგალითი: ესთქუტათ ღათუნას აცვია კარგი ჩოხა, პეტრიკამ

კი მოინდომა ეს ჩოხა გამოაცალოს დათუნას. პეტრიკა გონიერია და ჰფიქრობს: თუ ძალით წაევართმევო დათუნას ჩოხას, პოლიცია მტაცებს ხელსა და მიმცეს სასჯელშიაო; მოდი ისევ პოლიციით ანუ სუდით წაევართმევო, და იწყებს კლიაუზობით დავას. და წაართმევს დათუნას ჩოხას. პეტრიკა ორ მოგებაშია: ერთი რომ სხვის ნივთი მოიტაცა და შეიმატა, მეორე რომ ჭკვიანის ხმა დაუარდა „თუმცა ყველამ იცის, რომ იმან უსამართლოთ და ვერაგობით მოიტაცა ჩოხა, მაგრამ მაინც კიდევ არამც თუ ხმა ამოიღეს ამ უსამართლობაზედ, არამედ პეტრიკას ჭკუას აქებენ. პოლიციაც, სუდიც და კანონებიც მართალნი არიან, ამიტომ რომ პეტრიკამ იკლიაუზა ისე საბუთიანათ და ემმაკურათ შეწმახუნა, რომ სამართლის წინ სრულიად მართალი გამოჩნდა, დათუნა კი გამტყუნდა. — მოიხსენეთ სხვა მაგალითი: პოლოსა და მიკირტუმა შეითქმნენ, შეისყიდეს უჩინარ ფასათ საცხოვრებელი და ჰყდიან ერთი ათათ ძვრად. რჩეულნი ამა სოფლისა თვთან ვერა ჰგრძნობენ შიმშილს და სიცივეს და რაღას დაგიდევენ თუ მრავალნი, ფრიად მრავალნი იმათი მოძმენი, შიმშილით და სიცივით მწარეთ იტანჯებიან, და ამ ბოროტ მოქმედებაზედ ხმის ამომღები კი არა ვინ არის! სად არის საზოგადოება? სძინავს!

შემდგომ განეაგრძობთ ამბავს.

(ბოლო შემდგომ ნომერში იქნება.)

ნ. ავლიმლისაგან გამოცემული

ქართული კალენდარი.

რომელს ქართველს არ უნდა შიანდეს სასიამოვნოდ, რომ, ასე გაწმირდა ქართულის წიგნების ბეჭედა და ასე გულმხურვალედ გამოეკიდა ქართულს სიტყვებებს ჩუპნი ყმაწვლკაცობა. რა არ დაიბეჭდა ამ მოკლეს დროში,--რაც მელიქი-შვლის და კამპ. სტამბა გახსნილა, დაბეჭდილა რამდენჯერმე ახალ-მოსწაფელეთათვის სხუა და სხუა გვარი ანბანები; განსვენებულის თ. გ. ერისთავის ლექსები და კომედიები, ვეფხვის ტყაოსანი,--ენ ჩამოსთელის, რომელი ერთი ვეჭუთ, აღარცკი გვახსოვს ზოგი ერთი წიგნების სახელები. ყმაწვლკაცებისაგან ერთის მხრივ ხომ უნდამადლობელნი ვიყენეთ,--მეორეს მხრივ ამ მელიქიშვლის სტამბამაცკი ძრიელ წახალისა ახალი თაობა, რომ ასეთი სასიამოვნო და ჩინებული სხუა და სხუა გუარი ასოებით შეწყობილია. შეიძლება გაბედვთა ესთქუათ, რომ უცხო ენებზედ გამოსულ კალენდრებს, მშვენიერის შეხედულობით და მოწყობილობით, არ ჩამოუყა, ახლად გამოცემული კალენდარი ნ. ავლიმლისა მადლობა ღმერთს ახლა კარგი კალენდარიც გვაქუს ქართველებს. აქამდისინ გამოცემული კალენდრები, ამ კალენდართან, სწორე მოგახსენოთ არაფერი შვლები არიან.--თავდაპირველად კალენდარი ქართულს ენაზედ გამოსცა ცისკრის რედაქციამ, აღარ გვახსოვს რომელს წელიწადს იყო, და ეს კალენდარი მხოლოდ შეიცავდა, უქმე ღღეებს და სხუა არაფერს. ამ კალენდარის სივრცეც გახლდათ ბევრი, ბევრი,

სულ კრიალოხნის მარცვლებით რომ ჩაეაგდოთ, ათი ფურცელი თუა. ფასი კი გვერანია ათი შაური იყო. რა იათია! შემდგომს გამოსცა, თ. ია. ჯაეახოვმა, — ეს კალენდარი ათს წლამდინ გამოდგებოდა, და იმამიაც მხოლოდ იყო სადღესასწაულო დღეები; მდივანოვის კალენდარმა ხომ გააჭირა საქმე. ეს კალენდარი უფრო სომხებისათვის იყო და არა ქართველებისათვის, — თუმცა სახელი ქართული ერქო. ახლაკი შეიძლება ვთქვათ, რომ რიგიანი კალენდარი გვაქს. ნ. ავალიშვილის კალენდარში რა არ მოიპოვება. გადამლით პირველს ფურცელს, დაგხვდებათ, უპირველესი საჭირო ცნობა, ყოფლის ქართველისათვის, თუ როდისა დგება დიდ მარხო, როდისა თენდება აღდგომა, ამაღლება; მზის ამოსვლა რომელ საათზეა ზაფხულში, ზამთარში, რომელს თვეში, რომელს რიცხვში; ერთის სიტყვით რაც რამ შეეხება დროს ცვლილებასა. მეორე გვერდზედ ნახათ სამოქალაქო და საეკლესიო წელთ აღრიცხვას, როგორც ძველისა, ისე ახლის სტილის კალენდარზედ. რას არა ჰპოვებს მკითხველი ამ კალენდარში. აქ არის რიცხვით წოდება არაბულად, ქართულად და რომაულად; მარხვანი ხორციელნი, საუფლო და ღუთის მშობლის დღესასწაულები; საზოგადო მართმადიდებელის ეკლესიის კალენდარი; ქართველთა დღესასწაულები; როგორ შემოუღიათ ქართველთ დღესასწაული უფლის კვართისა; ცხორება წმ. ნინოსი, ქართველთ განმანათლებელისა; მოძრავნი დღესასწაულები სომეხთა და სომეხთ კათოლიკთა; კალენდარი სომეხთა და კათოლიკთა; კალენდარი მაჰმადიანთა; დღესასწაულები, როდესაც სასამართლოებში არ ისაქმებენ და სასწავლებლებში მოწაფენი არ ისწავლან; რუსეთის საიმპერა-

ტორო სახლეულობა; ქართული ფულის ანგარიში; საზოგადო განხილვა მთელი ქუტყენისა; სტატისტიკური ცნობა ევროპიის ქუტყენებზედ; სტატისტიკური ცნობა კავკაზიის ქუტყენებზედ; სტატისტიკური ცნობა ტფილისის გუბერნიაზედ; რამოდენა გზა არის ტფილისიდან სხუა და სხუა ქალაქებამდინ; საიღამ რა დღეს სად მიდის ფოჩტა და საიღამ მოდის; სიარული ფოჩტის ეკიპაჟებისა; ტელეგრაფის მზანდა ტფილისიდან სხუა ქალაქებამდინ; რუსის საზოგადოების გემების აღვლები მზანდა ფოთიდან სხუა ქალაქებამდის ცნობა ფაბრიკებზედ და ზაფხულებზედ კავკაზიის მხარეში; მოსწავლეთ რიცხვი კავკაზიის მხარეებზედ; რამდენი ჟურნალი და გაზეთი გამოდის ქართულ ენაზედ; ცნობა თუ რა დროს რა შესანიშნავი ანბავი მომხდარა, ამ მხარისათვის საცოდნელად საჭირო; დარიგება თუ როგორ ემველება კაცს სხუა და სხუა საშიშ მდგომარეობაში; სხუა და სხუა მოკლე ცნობა, ტფილისში და ქუთაისში 1867 წელში, რა დროს ამოვა და ჩავა მზე, რა რიცხვში რა დღე იქნება და ზეციურნი მოვლინებანი 1867 წლისა. აბა ჩემო ქართველო მკითხველო ამ გვარი კალენდარი სასარგებლო არის თუ არა ჩუბნთვს? მეტადრე სოფლად, მიყრუებულს ალაგს; მაშ იმედი გვექნება, რომ ამ გვარი სასარგებლო წიგნები ძრიელ გავრცელებიან ჩუბნში, — ან რა არის ათი შაური, — მარტო ქალაქი ათი შაურისა, — ბეჭუდა და შრომა იქით იყოს. ამითი ვათავებთ ამ მოკლეთ კალენდარის აღწერასა და ღმერთმა ინებოს ავტორს მიეცეს ისეთი სურვილი, რომელზედაც არ არის ეჭვ, რომ ამ გვარი სასარგებლო წიგნები გვაჩუქოს ხოლმე, ამას ღმერთიც დაუმაღლებს და კაციც.

საქართველოს ისტორიისათვის მასალები.

(მ. ბროსესი).

1607 წელსა, მეფობის დროს რუსეთში მეფის ვასილ იოანოვიჩისა, მოსკოვში იმყოფებოდა, საქართველოს ბატონი--შვლი პანკრატ, შვლი იესესი, ძმის წული ალექსანდრე მეფისა. ესენი, ესე იგი იესე და ალექსანდრე იყენენ კახეთის მეფის ლეონის შვლები. სპარსეთის მეფემთაჰმანმა, როდესაც ებრძოდა ოსმალოს სულთანს სელიმს, სთხოვა შემწეობა ლეონ მეფეს, რომელმაცა გაუგზავნა ჯარი და მხედართ მთაერობა მიანდო თავის შვლს იესეს. სპარსეთის მეფემ დამარცხა ოსმალები და ნაცვლად ამისა, რომ დაებრუნებინა იესე საქართველოში, უბძანა დატუსალება საქანში სადაცა იმყოფებოდა იქმდინ, მინამ სპარსეთის მეფე გარდაიცვლებოდა. ამ დროების განმავლობაში ლეონიც გარდაიცვალა საქართველოში, იმისი მოადგილე იყო ბატონის-შვლი ალექსანდრე. სპარსეთის მეფის თამაჰზის შემდგეს, ავიდა რა ტახტზედ ხუდა-ბენდი, გაანთავისუფლა ბატონის-შვლი იასე ტუსალობიდან და უბძანა საქართველოში დაბრუნება. როდესაც მოვიდა იერიიში, ნახა გამეფებული თავისი ძმა ალექსანდრე, რომელმაცა რამწაეს შეიტყო იესეს მოსვლა, იმსაათშივე ბძანა იესეს და იმის შვლს პანკრატის დატუსალება. რა გამოვიდა რამდენიმე დრო, იასე ბატონის-

შული მოაკვლევინა ტუსალობაში, ხოლო პანკრატი იმყოფებოდა საპყრობილეში ოცის წლის განმავლობაში. ბოლოს ჟამს, 1600 წელს ალექსანდრემ განათავისუფლა პანკრატ საპყრობილეთგან, უბოძა მამულები, იყოლიებდა თავისთან და ეპყრობოდა, როგორც შემწეონდა საქართველოს ბატონის-შულს.

შემდგომ ამისა, როდესაც ალექსანდრე მეფე მიდიოდა ოსმალთზედ საომრათ, თან წაიყვანა პანკრატ. იქიდან დაბრუნების დროს, როდესაც სპარსეთის მეფემ აბასმან ნება მისცა ალექსანდრეს დაბრუნებულიყო საქართველოში, პანკრატ ბიძის თანხმობით დარჩა სპარსეთში, თავის დასთან, რომელიცა მაშინ იქ იმყოფებოდა ტყვედ. რა გამოვიდა რამდენიმე დრო, პანკრატ დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ გაიგოთუ არა, რომ კოსტანტინეს მოეკლა თავისი მამა ალექსანდრე მეფე და იმასთან სულ ერთიან თავისი ძმები; იმასთანავე თუ როგორ სდევნიდა ქრისტიანებსა და ანგრევდა ეკლესიებსა, მაშინვე გაიქცა გილანში. შემდგომს სთხოვეს მიტროპოლიტმა და მრთელმა სამღუდლო კრებამ, წასულიყო რუსეთში. თან გააყოლეს ერთი თათართაგანი და რამდენიმე ქართველები, რომელთა რიცხვში იმყოფებოდა ერთიც ფრანგების პატრი. ასტრახანში რომ მოვიდა, სახელი შეცვლილი ჰქონდა, რომ არ ეცნათ, და ეწოდებოდა თეზიკი. მაგრამ ბოლოს შეიტყო სპარსელმა თათარმა რა რომ ის იყო საქართველოს ბატონის-შული უნდოდა მოეკლა, მოჰკლავდა კიდევ, თუ არა ჰყოლოდა თან ფრანგების-პატრი, რომელმაც გამოიხსნა სიკვდილისაგან, როგორც ქრისტიანი. როდესაც ასტრახანში მოვიდნენ, ნახეს, რომ აქაც დიდი ხალხის არეულება იყო, რადგანც იმ დროს გამოჩენილ-

იყო გრიშა რასტრიგა რომელმაც გადაბირა მრავალი ხალხი რუსეთისა. ასტრახანში მყოფთ, რუსეთის მხედართ-მთავართა, მამინეე პანკრატ გაგზავნეს მოსკოვში და თან გაატანეს ერთი ასის თავი რუსი. როდესაც მოვიდა მოსკოვში, ისა სცხოვრებდა კაზანის სასახლეში, სადაცა ჰქონდა კელმწიფისაგან დანიშნული დღიური სპირდო.

1618 წელსა, აღდგომის მეორე კვირას, თეიმურაზ ბატონის-შვილმა გაგზავნა მოციქულად რუსეთში მეფე მიხეილ ფეოდორიჩთან და დააბარა, თუ რა მფარველობა ჰქონია რუსეთს ალექსანდრეზედ და იმის მამა დავითზე. ან როგორის ერდგულებით იყენენ საქართველოს მეფენი და ბატონის-შვილები იოანე ვასილევჩის, ფეოდორე იოანოვიჩის და იმათ მემკვიდრეების მეფობის დროსა; იმასაც აგრეთვე ჰქონდა სურვილი ემსახურნა მეფესათვის და ყოფილიყო იმის კალთის საფარველსა ქვეშ, რომ დავით სპარსეთის მეფის მძლავრობისაგან, რომელიცა სრულებით აოხრებდა საქართველოსა, აქცევედა ეკლესიებსა და მონასტრებსა. ატყევებდა მოციქულათ გაგზავნილ კაცებსა საქართველოთგან, ისე რომ თეიმურაზ უნდა გაგცეულიყო თავის სამეფოთგან და მიემართა გამოსახსნელათ ან ოსმალოს სულთანისათვის, ან თავის ერთსარწმუნოების მქონე მეზობლების იმერლებისათვის, ანუ მეგრელების მთავრის ალექსანდრესათვის (ამავე მთავარს ეწოდებოდა ლეონ). და ან გურიის მთავრის. შანყელისათვის. თეიმურაზს ამათთან ნათესაობითი დამოკიდებულებაცა ჰქონდა. როდესაც თეიმურაზ მივიდა იმერეთში, სპარსეთის მეფე ძალას ატანდა, რომ მოეცათ თეიმურაზ კელში, მაგრამ იმათ არ დაანებეს და ებრძოდნენ სპარსეთის ჯარსა. ამას-

თანვე დააბარეს, რომ მრთელი ეს მთაერები და თუთან თეიმურაზიც აღიკვედნენ ხარჯსა ოსმალოს სულთანს, იმ პირობით, რომ გაჭირებაში დახმარებოდა, მაგრამ არ ეხმარებოდა კია; რადგანაც ქრისტიანების სარწმუნოებას ისიცა სდევნიდა, ამისათვის, თეიმურაზ გულ-მხურვალედ სთხოვს რუსეთის მეფესა, რომ მიიღოს ის, თავის საფარველს ქვეშე და თუ შეიძლება მოსცეს შემწეობა და დაიცვას სპარსეთის მძლავრის კელისაგან, ამას გარდა გამოგზავნოს რუსეთიდან ელჩი, საქართველოში სამყოფლად, რადგანაც თეიმურაზს ეშინიან, არ შეიტყოს სპარსეთის მეფემ იმისი დამოკიდებულება რუსეთთან. როდესაც ხარიტონ ბერი მივიდა მოციქულად რუსეთში, ამას გარდა დამატა, რომ მრთელი ყუმუხის ხანები და მთის მთაერები, აგრეთვე სთხოვენ რუსეთს ქვეშევრდომობასაო, გარდა ორის ყუმუხის ხანისა, რომელშიაც ერთს ეწოდება გარეი, ხოლო მეორეს სულთან მაჰმუდი. — ამ უკანასკნელს ეკუთვნის მთელი ჩერქეზია. მოციქული ბერი ურჩევდა ამის გარდა, მოეთხოვნა ამ ხანებისათვის რუსეთის მეფეს ამანათები, რომ თავიანთი ქვეშევრდომობის პირობას აღარ გადასცილებულიყვნენ. მოციქული ბერი ცრემლითა სთხოვდა, მიეღო რუსეთის კელმწიფეს საქართველოს უბედურებისგან დასახსნელად მონაწილეობა, უმეტესად ამისათვის უფრო, რომ ერთის სარწმუნოებისანი იყვნენ. ესეცკი შეგონა, რომ თეიმურაზს თავისგან მიწერილ წიგნში, რუსეთის მეფესთან, ვერ აღწერა ყოველი თავისი უბედურებითი გარემოება ვრცლად, რადგანაც ეშინოდა გზაზედ არსად დაეჭირათ მოციქული და არ წაერთმევათ ეს წიგნი, ბერისათვის, რომელსაც უქვევლია

მაშინათვე წარუდგენდნენ სპარსეთის მეფესა.

აი რა ეწერა თეიმურაზისგან მიწერილ წიგნში, მეფე მიხელ ფედორჩთან.

1, თეიმურაზ ჩივის იმ აოხრებამდ, რომელიცა მოუხდენია სპარსეთის მეფეს ეკლესიებზედ,--და დამატებდა რომ ეს ქრისტიანა, იმ დღითგან, რა დღითგანაც ალექსანდრე მეფე იყო რუსეთის მფარველობასა ქრცხე, განცხრებოდა მშვიდობიანად, მყუდროთ და მოსვენებით.

2, სპარსეთის მეფემ მოატყუა თეიმურაზ ამ სახით, რომ იმანა სთხოვა და ცოლად შესართველად იმ პირობით, რომ მიეღო ქრისტიანის სარწმუნოება; მაგრამ შემდგომს ამისა, აბასმა მოსთხოვა შვილები საქართველოს დიდი კაცებისა,--ამაზედაც თეიმურაზმა დააკმაყოფილა; მაგრამ ვერც ამითი მორჩა თეიმურაზ. აბას მოადგა უცებ საიდუმლოდ საქართველოს დიდ ძალის ჯარით და სთხოვა თეიმურაზს მიეცა თავისი შვილი. თეიმურაზმა გაუგზავნა უნცროსი მკვლი ალექსანდრე; არც თუ ამითი დაკმაყოფილდა აბასი და მოსთხოვა უფროსი შვილი ლეონ თავისის დედით, იმ პირობით, რომ როდესაც იმათ ნახავს, დაუბრუნებს შვილებიანათ თეიმურაზს, რომელმაცა დაუჯერა იმ შიშით, რომ საქრისტიანო არ აეოხრებინა. მაგრამ აბასმა არ აასრულა აღთქმული სიტყუა, წამოვიდა დიდის ჯარით საქართველოსკენ, თეიმურაზ ჯარით მიეგება საბრძოლად, მაგრამ რა გრძობდა თავისის ძალის სისუსტეს, გამოიქცა და დაიძალა იმერეთში.

3, თეიმურაზის იმერეთში მყოფობის დროს, აბასმა სრულებით მოაოხრა საქართველო, წაპილწა ეკლესიები, დააქცია ამბიონები, ჩაფლა ლაფში ღუთის მშობლის ხატები და

ამისათვის თეიმურაზს ცრემლითა სთხოვეს რუსეთის კელმწიფეს, რომ გამოიხსნას საქრისტიანო ამ შესაძრწუნებელ მდგომარეობისაგან.

4, თეიმურაზს სთხოვეს კელმწიფეს, რომ მისწეროს წიგნი სპარსეთის მეფეს, კელი აილას საქართველოზედ მტრობისაგან და დაუბრუნოს დედა და შვილები, რომ არ დაიხოცნენ იქ, სამარცხვინო სარწმუნოებაში.

5, თეიმურაზს დაჰმატებს, რომ გიორგი მეფე იმერეთისა მანუელ მთავარი გურიისა, ლევან მთავარი მეგრელიისა, რომელნიცა აღვიარებენ ქრისტეს სარწმუნოებას, რა შეიტყეს თეიმურაზისაგან წაგნის მიწერა რუსეთის კელმწიფესთან, მოვიდნენ და სთხოვეს შუამავლობას, მიიღოს რუსეთმა ესენიც სარწმუნო და ერთგულ ქვემეგრდამათ. ამისათვის ესენიც სთხოვეს, გამოგზავნოს მეფემ მოციქულები, აქაურის მიწა-წყლის, ხალხის ხასიათების და ყოელის გარემოების შესატყობად.

ამ წიგნზედ კელი არ ეწერა თეიმურაზს, მხოლოდ ბეჭედიკი აჯდა. ამასთანავე იყო გიორგისგან, მანუელისგან და ლეონისგან მიწერილი წიგნებიც.

აი რასა სწერდა იმერეთის მეფე გიორგი.

1, იმერეთის მეფე გიორგი სწერს დიდ კელმწიფეს, რომ აბასმა აოხრა ივერია სრულებით, გამოაგდო იქათან თეიმურაზს, რომელიცა ახლა იმყოფება იმერეთში. სპარსეთის მეფე სთხოვდა თეიმურაზს ცოლსა, დამუქარებითა, რომელიც არ გაუგზავნიდა, თვთან მოვიდოდა და ძალათ მოსტყუებოდა; ამზედ მრთელი იმერეთის, გურიის და მეგრელების ხალხნი შეიყარნენ და გადასწყვიტეს, არ გაეცათ თეიმურაზს,

და თუ მოვიდოდა აბბასი, ჯარით დახვედროდნენ და დაეწყათ ბრძოლა.

2, გიორგი სთხოვს რუსეთის კელმწიფეს, მიიღოს ესეცა სხუათა შორის ქვემეგრდომად, ამასთანავე აღთქამდა რომ იქნებოდა სარწმუნო და ერთგული რუსეთისა.

3, მხოლოდ ოთხნი არიან ამ ქუცყნისაკენ მეფენი და შთაყარნი, რომელთაცა უკავიათ დიდის ტანჯვით ქრისტიანობრივი სარწმუნოება და რომელნიცა მოეღიან რუსეთის მფარველობასა.

რუსეთის მეფეს რამწაეს ეს წიგნები მოუვიდა მოციქულის კელით, მაშინვე სპარსეთში გაგზავნა რუსეთითგან ვასილი კორობინი და ესტატე კუკშინიკოვი და მიანდო ამათ საქართველოს საქმე.

როდესაც ეს გაგზავნილები დაბრუნდნენ სპარსეთითგან, მოახსენეს რუსეთის მეფეს დაბარებული და თავის გამართლება შახ აბბასისა, რომელიცა ამითი იმართლებდა თავსა, რომ თეიმურაზის შვილები და დედა შახს ამანათათა ჰყვანდნენ ამისათვის, რომ არ მისდგომოდა თეიმურაზ სპარსეთის მტერს ოსმალოს სულთანსა, მაგრამ თეიმურაზმა მიიწა გატეხა აღთქმა და დაემორჩილა სულთანსაო. ამასთანავე აჩვენა შახმა რუსეთითგან გამოგზავნილებს დედა და შვილები თეიმურაზისა და სთხოვა მიეწერათ წიგნები ამ მოციქულებს თეიმურაზისათვის, რომ მისულიყო სპარსეთში და ჩაებარებინა იმისათვის დედა და შვილები. ამაზედ უპასუხეს მოციქულებმა შახ აბბასი, რომ მინამ რუსეთის კელმწიფისგან არ გამოითხოვდნენ ნების დართვას ამაზედ უიმისოდ ვერ გაბედამდნენ.

ბუნების მეცნიერებითად.

მოგეხსენებათ, ორნი რომ ერთათ ლაპარაკობდნენ, თუ უნდათ რომ ერთმანერთის ლაპარაკი კარგათ ეყურებოდეთ, ზოგი ერთი სიტყვების ხმარემაზედ უნდა აღრევე დათანხმდნენ და მტკიცედ განსაზღვრონ მნიშვნელობა იმ სიტყვებისა, თორემ უეჭველია ერთმანერთს თავისს აზრს კაგათ ვერ გააგებინებენ, ზოგს ვერ მიხდებიან, ზოგს იტყვიან და ნათლად გამოყვანის მაგიერად, გამოსათქმელი ზოგი ერთი აზრი იქნება უფრო დაუბნელდეს ან ერთსა და ან მეორესა.

ამ მიზეზით გვედღრებით მკითხველო, - მოთმინებით წაიკითხოთ ეს რამდენიმე სტრიქონი, ან თუ არ შესწუხდით, რამდენიმე ფურცელიც, სადაც ჩუბნის მხრით ვეცდებით ზოგი რამ გასამზადებელი განმარტება მოგახსენოთ; შემდეგისათვის დიდად საჭირო იქნება, რომ ადვილათ გასაგონი იყოს, რასაც ვილაპარაკებთ.

თუ ერთხელაც არის ყურადღებით დავჰხედეთ მრავალს სხუა და სხუა ნივთიერებას, უანგარიშო რომ არიან ჩუბნს ქვეყანაზედ მოფენილნი, ადვილათ შევიტყობთ, რომ ზოგი იმათგანი, როგორცა ვსთქუათ მარილი, რკინა, მინა, გოგირდი და სხ. საგრძნობელად ეწინააღმდეგებიან ჩუბნს ღონესა. თუ გატყნა მოვინდომეთ, ან წელილად დამტრევა

რომლისამე, ამ ნიეთიერებას ეწოდება მაგარი; ზოგი სხტა ნიეთიერებაა, ესტჷათ წყალი, ზეთი, ღვინო, არაყი და სხ. ძალიან ადვილათ გაიყოფებიან მსხვილ თუ წვრილ წვეთებთა. ამგვარ ნიეთიერებას დაერქტა წტსთეული. ყოველმა კაცმა იცის, რაც არის ნიეთიერება ამ ორივე გვაზისა; თვალითა ეხედავთ, კელის შეხებითა ვგრძნობთ, ზოგის გემოს ეიხილავთ, ზოგისა სუნი მოგვედინება და სხტა. ესეც ვიცით, რომ შეგვიძლიან ყოველი იმათგანი წინათაც ავიღოთ, რამდენიმე მისხალი თუ გირჷანქა, თუ პუდი და სხტა.

მაგრამ მამებს გარდა ზოგი იმისთანა ნიეთიერებაც არის, რომ არც მაგრებისა იყოს, არც წვეთულებისა; ამ მესამე გტარისას უმეტესს ნაწილის ფერი სულ არა აქტს; მამ არც თვალით დანახვა შეგვიძლიან; ზოგს სუნი არა აქტს და მამ ვერც ყნოსვით გაეარჩევთ, მაგრამ არსებობა იმათი შეიძლება აწონითი დამტკიცდეს, რადგან ასაწონი არიან, თუმცა სიმძიმითი რასაკუთრველია ვერც მაგარს უღრიან, ვერც წვეთეულსა. უმთავრესი თვსება ამ მესამე გტარის ნიეთიერებისა ეს არის, რომ დაუცხრომელად უფრო და უფრო ვრცელდებიან, უფრო და უფრო განზედ იწევენ და თუ დაბრკოლება შეხტლათ რამე, იწტსბიან. იმ დაბრკოლებასა, თითქო ღონიერი რამე მომართულობა ჰქონდეთო. ამ ნაირი ნიეთიერებით ანგარიში არის ჰაერიცა, ყოველის მხრით რომ გარს ახვევია ჩტს კტსყანასა. ამ ჰაერის სახელით ყოველს მესამე გვარის ნიეთიერებას ეწოდება ჰაეროვანი; უფრო ხშირათ კი გაზი ეწოდებათ, ეს ლექსი გაზი, ყოველს ვეროპიულს ენაში ასე უთარმნელად არას მიღებული და მიხვნი არ არის რომ ჩტს არ მივიღოთ. სამთლის აღზედ რომ

გაზს დაეწვამთ, ან თმასა, ფთასა, თუ რქას, ან სხუა რასმე ამ გვარს, მაშინვე რალაც მიძიმე სუნი გვეცემა ხოლმე; როდესაც ხორცი, თევზი, ან სხუა ამ გვარი ლპება რამე, სუნი აედინებათ ხოლმე და სხ. და სხ. ყოველს ამისთანა შემთხვევაში შესდგება, ბუნების უცვალებელი კანონებითა უცნაური რამ გაზები. თუ წყალში გაზი ისე გაიხსნა, როგორც მარილი იხსნება, მაქარი ან სხუა ამ გვარი რამე, მაშინ წყალი ზოგი ერთ ამ გაზთაგან გემოსაც მიიღებს და სუნიც მიეცემა ასე ქალაქის აბანოებს რომ სუნი უღის, გაზისა რაისამე მიზნია; მუჯევე წყლების გემოც აგრეთვე რომლისამე გაზების მიზნია.

მაგარნი. წვეთეულნი და ჰაეროვანნი ნივთიერებანი ყოველთვს ერთსა და იმავე მდგომარეობაში არა რჩებიან. ეინ არ იციის რომ მრავალი მაგარი ნივთიერება, თუ მეტად ან ნაკლებად გაეხურეთ, ზოგი რბილდება. ზოგი კიდაცა დნება; მამ წვეთეულადაც იქცევა და წვეთეული ჰაეროვანად. მაგალითისათვის მოვიღოთ გოგირდი და ჩუპნი სასმელი წყალი. წმიდას, მშრალს სტაქანში ჩაედეთ პატარა ნაჭერი გოგირდი და სიფრთხილით გახურება დაუწყოთ ანთებულ სპირტის ალზედ. გოგირდი ჯერ დადნება, მერე, თუ გახურებას არ უკელით, ცოტათ ისე შესქელდება და ბოლოს კელახლა დადნება. თუ კიდევ ვახურეთ, სტაქანში გაჩნდება სველი რალაც ყვითელი ბული, ან ომხივარი. მამ ჰსჩანს, რომ გოგირდი თვთან რომ მაგარი არის შეიძლება წვეთეულადაც იქცეს და ჰაეროვანადაც და თუ თან და თან გავანელებთ, ომხივარი ჯერ წვეთეულად გარდაიქცევა და მერე შედელდება და გამაგრდება კიდევ. წყალს რომ გაჰყინავს ხოლმე ვიციით, მამ აქ

წვეთეული მაგრდება; და თუ ცეცხლი კარგათ შეეყვება, მაშინ აღუღდება, ოხშივარი მალლა ჰაერში ჰფრინავს და თვალთათუას უჩინო ხდება. როდესაც წყალი ჩაიდანში, ან სამოვარში ჰსდუღს, პირზედ ქალაღი რომ დაუჭიროთ საიღამაც ბული გამოქრის, ჰნახავთ რომ ქალაღი ფრიაღს დაიწყებს, ეტყობა ეს ოხშივარი ღონიერად აწეება ქალაღსა.

ჩუბნ ქუტყანას რომ ჰაერი ყოველგან გარს ახვევია, უუმალღესის მთების თხემზედაცა, ამით უნდა ვიფიქრებდეთ რომ ეს ნიეთიერება, ეს ჰაერი დიდად საჭირო უნდა იყოს ბუნების გამგებღობაში, ასეთის სიბრძნითა და ასეთის საკვრვეღებით რომ არის ღუთისაგან დამყარებული. მამ ვეცადნეთ ცოტათაცარის შევიტყოთ, რა არის ეს ჰაერი, ეს მარადის მღღღვარე ოკიანე, რომელშიაცა ესცხოვრებთ, როგორც ზღვაში თევზები; და შესატყობად დავადგეთ გზასა გამოცდიღებისასა.

1, მათღაბაში რომ წყალი ჩაეასხათ და შიგ სტაქანი ჩაედეთ პირქუტს დამხოზიღი, სტაქანს რომ წყალი მოჰყეება, იმაზედ მათღაბის წყალი უფრო მალლა აიწევს. სჩანს რომ რაც სტაქან ქვეშ ჰაერი მოჰყევა, ის ჰაერი აღარ უშვებს ზევით წყალსა ვერ უთბობს თავისს ადგიღსა.

2, ამოვიღოთ სტაქანი, იმის მაგიერად მათღაბაში ჩაედეთ პატარა რამ დამგრგეაღებული ხის ქერქი და ამ ქერქს ზედ დავაკრათ პატარა წმიდა სამთელი. ეს ქერქი იმოღენა უნდა იყოს, რომ სტაქანქვეშ თავისუფღად მოთაესდებოდღს. ახღა სტაქანი ზედ გადაეახუროთ; კიდეეაც ენახავთ, რომ სტაქან ქვეშ წყალი მაინც დაბღა იქნება მათღაბის წყალზედ.

3. ახსალოთ სტაქანი, ის პატარა სანთელი ავანთოთ და მერე ისევ დაეახუროთ, ასე რომ ანთებული სტაქანი ქვეშ მოჰყევს სტაქანსა; ჯერ სანთელი ნათლად ენთება; მერე სინათლეს უკლებს და გაქრება; მანამდისან ანთია, წყალი სტაქანქვეშ ცოტცოტათი მალლა აიწვეს და ბოლოს სანთელი რომ გაქრება, წყალიც შედგება. სანთლის მაგიერად შეიძლება ანთებული პატარა გოგირდის ნაჭერი იყოს, აბელი ან სხტა რამე, რადგან წყალში უწინდელზედ ზევით აიწივა სჩანს რომ რაც ცარიელ სტაქანში ჰყერი იყო, იმას მინამდისინ სამთელი ენთო რამდენიმე მოაკლდა და იმისი ადგილი წყალმა დაიჭირა.

4, მათლაბის მაგიერად ღრმა ჯამი დაედგათ, ან სხტა ჭურჭელი რამე, თინისა, ხისა, გინდ მეტალისა (ლითონისა) შიგ წყალი ჩაეასხათ და ზემოთ თქმული მოქმედება გავაახლოთ ასე რომ სტაქანი კელში გვეჭიროს და პირიყი წყალში ჰქონდეს; მშინ ანთებული კიდევ დაგვანახვებს, რომ სტაქანის ქვეშ მოყოლილი ჰყერის ნაწილი სადღაც იყარგება, სანთელი რომ გაქრა, მშინ რალა მოხდა სტაქან ქვეშ? ამისს პასუხს შემდგომს გამოცდილებით შევიტყობთ.

აფთიაკიღამ რომ პატარა მინებით სასმელ წამლებს იძლევიან, იმისთანა მინაში ჩაეასხათ წყალი, პირზედ ცერი დაეფაროთ, კელში გადავიბრუნოთ და ისე გადაბრუნებული ჩაუშვათ წყლიან ღრმა ჯამში, და სხტა ჭურჭელში, ზევით რომ ესტკეთ, თითს მოვაცლით, მაგრამ მინიღამ წყალი არ გავა. ახლა სტაქანი მიუახლოვოთ ქვეშ რომ სამთელი ჩაუქრა ისა, და იმ ნაირათ მივიტანოთ მინასთან, რომ სტაქანში სანთელი ენთო, რალაც რამ გაზი გაჩენილა იქა და

ეს გაზი პაწაწ-პაწაწ ბურთებად ავა მინაში. ახლა წყალშივე ისევ თითით დაუცვათ პირი ამ მინასა და კელით ამოვიღოთ, ამ მინაში დარჩება სტაქანში ნამყოფი გაზი. აფანთოთ წმიდა მკერის ჩხირი, თითი მოვაცილოთ მინასა და ეს ანთებული კვარი შიგ ჩაუმვათ, იმავე წუთს გაქრება, ასე რომ ცეცხლის სინათლეს აღარ შერჩეს. მამა სჩანს რომ სტაქანში სინათლის ჩაქრობის შემდეგ დანარჩენი ჰაერი ცეცხლით მგზნებარებას აღარ აყენებს. ყოველმა კაცმა ვიცით. რომ ცეცხლ მოკიდებული რამე ნივთი ჰაერზედ იწვის და ცეცხლი ჰაერზედ ძლიერდება. —

დაიბეჭდა და ისყიდება „საქართველოს კალენდარი“ შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან. სყიდვა შეიძლება „დროებისა“ „ცისკრის“ რედაქციებში. ფასი არის თვითო წიგნისა ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

ეს ნომერი, ე. ი. აპრილისა გამოვიდა მაისის 28. ამ ნომერში არაერთარი მონაწილეობა არ მიუღია ფურცელადეს, ცისკრის თანამშრომლობა მოჰკვეთა მაისის პირველითგან, რომელს თვეშიაც დაეიწყევით ამ ნომრის ბეჭედა. — ამ მოკლეს დროში წაეკითხებთ მკითხველებს „ვილდემტელს.“

1 8 6 7

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ, გაუგზავნელად 6 მან. დამატებით, 7 მან.

სსტა ქუტაისში გაგზავნით, დაუმატებლივ 7. მან. დამატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას საკუთარ კერესელიძის სახლებში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მამინვე აცნობოს ამ აღრესით.

„ცისკრის რედაქციაში ტფილისს.“